პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. წლიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— გერმანიის ახალი კანცლერი შტრეზემანი რეიხსტაგში გამოვიდა ახალი მთავრობის დეკლარაციით. გერმანიაში [illegible] გრძელდება.

— ბელგიისა და საფრანგეთის მთავრობები [illegible] არიან ინგლისის ნოტით საკონტრიბუციო საკითხზე. განსაკუთრებით კი ინგლისის მუქარით გერმანიასთან სეპარატიული მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

— ირლანდიაში დატუსაღეს ირლანდიელ რევოლიუციონერების ბელადი დე-ვალერა.

№ 187 პარასკევი 17 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 187

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის ოთხშაბათის № ის (186) მეთაურში („ოქროს სესხის ტირაჟი“) არის რამოდენიმე კორექტურული შეცდომა. ვასწორებთ უმთავრესს, რომელიც სრულიად ამახინჯებს აზრს:

1) სწერია: „ჩვენი **მუშები** და საზოგადოთ ყველა ისინი, ვინც არ იყო გაცნობილი საქმის ნამდვილ ვითარებასთან, ამბობდენ და სხვ... წინააღდეგ მათი სისინისა და სხვ.“

ხაზგასმული სიტყვის (მუშების) მაგიერ უნდა იყოს: **მტრები**.

2) სწერია: „.. გადაწყვეტა პირველი **ტარიფში** გადატანა მაისიდან ნოემბერში“.

უნდა იყოს „ტარიფის“ მაგიერ: **ტირაჟი**

მუსავატისტების დაღუპა

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში. ყველასთვის ნათელი ხდება საბჭოთა წესწყობილებასთან ბრძოლის უმიზნობა და უნაყოფობა; ვინც ძალით არ დაიბრმავებს თავს, აუცილებლათ დარწმუნდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება თანდათან უფრო მტკიცდება, ძლიერდება და სულ ახალ-ახალ ძალებს იკრებს თავის გარშემო.

ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის მოახლოებისას ყოველგვარი ეჭვები საბჭოთა მთავრობის სისუსტისა და ხანმოკლეობის შესახებ ქარწყლდება, იფანტება. საბჭოთა მთავრობის სამხედრო ფრონტზე გამარჯვების შემდეგ მისი მოწინააღმდეგეები თავს ინუგეშებდენ მის აუცილებელ დამარცხების წინასწარმეტყველებით სამეურნეო ფრონტზე. 1921 წლის სიმშილობამ რუსეთში ხომ ფრთები შეასხა შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციას. მაგრამ, როგორც ყოველთვის აქაც გაუმტყუნდათ იმედი. სიმშილობის ნაცვლად რუსეთიდან უკვე დაიწყო დიდი მასშტაბით პურის გატანა საზღვარგარეთ, მეურნეობა თანდათან ფეხზე დგება, აქაც გამარჯვებას გამარჯვებაზე პოულობს საბჭოთა მთავრობა, იმსხვრევა მოწინააღმდეგეთა უკანასკნელი იმედებიც.

ასეთი მდგომარეობისთვის, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიათ საბჭოთა რესპუბლიკებში მომქმედ ანტისაბჭოთა პარტიებს, შეეცვალათ თავისი დამოკიდებულება მუშურ-გლეხური მთავრობისადმი, მოეხდინათ რევიზია თავისი პროგრამისა და ტაქტიკისა. რუსეთში ადრევე დაიწყო ეს პროცესი და ჩვენ ვიცით, რომ მრავალი პირები და ჯგუფები, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისში აქტიურ ბრძოლას აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დღეს მასთან ერთად თანამშრომლობდენ, ხელს უწყობენ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაძლიერება-განმტკიცებას. ბევრი ისევ მოწინააღმდეგეთა ბანაკში დარჩა და კვლავ განაგრძობს თავის გამხრწნელ მუშაობას, მაგრამ მნიშვნელოვან ძალებს ისინი აღარ წარმოადგენენ.

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლის და ლიკვიდაციის პროცესი უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიაშიც ფართო მასშტაბით სწარმოებს. საქართველოში ყველაზე ძლიერი მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაცია, მიუხედავათ მათი არალეგალური ცეკას ჟიუტობისა, ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია.

ამას წინათ ჩვენ მოვისმინეთ დაშნაკელთა დეკლარაცია, სადაც ისინი უაზრობათ აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. დღეს კი ჩვენ გაზეთში იბეჭდება მუსავატისტური პარტიის დეკლარაცია. ეს პარტია ერთი უძლიერესი პარტია იყო ამიერ-კავკასიაში და რამოდენიმე წლით მას ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება აზერბეიჯანში. საქართველოს მენშევიკები საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორების შემდეგ ამ პარტიასთან და დაშნაკელებთან ერთად ფიქრობდენ ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობას.

ამიერ-კავკასიის სეიმი, ეს მენშევიკების მიერ გამოგონილი დღენაკლული პარლამენტი, თითქმის მხოლოდ მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელებისაგან შესდგებოდა. აზერბეიჯანის „დემოკრატიის“ წარმომადგენლობას „მუსავატი“ კისრულობდა და მენშევიკებთან ერთად სცდილობდა ამიერ-კავკასიაში არ შემოჭრილიყო ოქტომბრის რევოლიუციის ნაპერწკლები. მუსავატი თავიდანვე ნაციონალისტურ ნიადაგზე აღმოცენებული პარტია [illegible] „ინტერნაციონალისტმა“ მენშევიკებმა, თუმცა ვერ შესძლეს ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაცვა, მაგრამ კავშირი მუსავატისტურ მთავრობასთან ბოლომდე მჭიდრო ქონდათ. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების მიზნით ისინი ყოველთვის სცდილობდენ მუსავატელებთან სრული შეთანხმების მიღწევას.

მუსავატი მენშევიკებზე კიდევ უფრო შორს იდგა რევოლიუციიდან, მას, რასაკვირველია, თავის ბატონობის დროს არცერთი ნაბიჯი არ შეეძლო გადაედგა თავისი კლასიური მდგომარეობის გამო აზერბეიჯანის მშრომელთა დაკმაყოფილებისთვის. მიწის საკითხს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბეიჯანის გლეხობისათვის ეს პარტია სრულებით არ შეხებია; აზერბეიჯანელ ფეოდალებს მუსავატის ბატონობის დროს სრულ მონობაში ყავდათ მშრომელი გლეხობა. არც სხვა რაიმე დარგში და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შეუტანიათ მათ რაიმე ცვლილება. უმთავრესი მათი მიზანი იყო რევოლიუციის შემოტევისაგან თავის დაცვა; ამ მიზნით ისინი მუდამ ეძებდენ კავშირს კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან და მუდამ ოსმალეთისკენ გაიყურებოდენ. თავის მეზობელ სომხეთის მთავრობასთან მუსავატისტებს მუდამ მტრული განწყობილება ჰქონდათ; ეს პარტია ისე როგორც დაშნაკელები, მუდამ ხელს უწყობდა ეროვნული მტრობის და შუღლის გაღვივებას. ამიერ-კავკასია ვერასოდეს მშვიდობიანობას ვერ მიესწრებოდა, თუ ცალკე რესპუბლიკათა სათავეში ეს პარტიები იქნებოდენ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ თავის გამოცხადების პირველ დღიდანვე მტკიცე და გაბედული ნაბიჯი გადასდგა ეროვნული მტრობის და შუღლის მოსასპობათ ამიერ-კავკასიაში. ამისთვის აუცილებელი პირობა იყო ნაციონალისტური მთავრობებისა და პარტიებისაგან ძალაუფლების ხელიდან გამოგლეჯა და მათი გამხრწნელი გავლენის სრული მოსპობა და განადგურება.

სანამ საქართველოში მენშევიკური მთავრობა არსებობდა, მუსავატი კიდევ ახერხებდა პროვოკაციული გამოსვლების მოწყობას აზერბეიჯანში, როგორც მაგალითად განჯის ცნობილი აჯანყება, მაგრამ საქართველოს „დამოუკიდებელ მთავრობის“ პარიზისკენ „გამგზავრების“ შემდეგ, ამ პარტიის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. და ამჟამად თვით მისი ცენტრალური კომიტეტის წევრები, პარტიის სხვა ცნობილ წევრებთან ერთად, აცხადებენ არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს დაშლილად ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ამაში გასაკვირალი არაფერია. ოქტომბრის რევოლიუცია თანდათან ქედს ახრევინებს თავის ძლიერების წინაშე თავის მოწინააღმდეგე პარტიებს და მოულოდნელი აქ არაფერია.

თავის დეკლარაციაში მუსავატისტები სცნობენ რ. კ. პ. მე 12 ყრილობის და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომის დადგენილებებს ეროვნებათა გათანასწორებისთვის მიზანშეწონილად; ამიერ-კავკასიის ერთა შორის მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ისინი თავს მიზნად აცხადებენ. აჰას, რასაკვირველია, არ დაიჯერებს ის, ვინც მათ წარსულ შავ საქმეებს გადახედავს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საგულისხმოა მათი აღსარება ამიერ-კავკასიაში მტკიცე მშვიდობიანობის შესახებ. სჩანს მოწინააღმდეგეებიც ხედავენ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის ნაყოფიერ შედეგებს, იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მის აღმშენებლობითი მუშაობას, სიმტკიცეს და გავლენის სიძლიერეს ყველა ერების მშრომელთა მასებში.

ამიერ-კავკასია თანდათან იწმინდება კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ამიერ-კავკასიის ნაციონალისტურ პარტიების მიერ აწეწილ-დაწეწილ ცხოვრების მოწესრიგება და ხელმძღვანელობა. ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ნიადაგი თანდათან ეცლებოდა და საერთაშორისო იმპერიალისტების ყოფილი სათარეშო ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის საიმედო ციხე-სიმაგრეთ გახდა ამას ნათლად ამოწმებს მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკელების და სხვათა დაშლა. რაც არუნდა იცრუონ საზღვარ-გარეთ ამ პარტიების გაქცეულმა ბელადებმა, მათ მტკიცებას არავითარი გასავალი არ ექნება თვით საბჭოთა რესპუბლიკების მოსისხლე მტრის ევროპის ბურჟუაზიის თვალშიც კი.

ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები და მდგომარეობის უფრო ანგარიშ გამწევი მათი ბელადები თვით სცნობენ უაზროთ და უმიზნოთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, თვითვე ახდენენ თავისი არალეგალური პარტიული ორგანიზაციების ლიკვიდაციას. ეს დიდი გამარჯვებაა ოქტომბრის რევოლიუციის მებაირაღტრე პარტიისა და მშრომელთა საერთაშორისო ოჯახი მას კმაყოფილებით შეხვდება.

ობლათ დარჩენილი ავანტიურისტები

„სირცხვილი იმათ, ვინც მებრძოლთა რიგებს ეთიშება და განზე დგება! ზიზღი მათ, ვინც ჯალათების ბანაკს ეკედლება!“

ასე სწერს თავის ახალ ფურცელში ყაჩაღებისა და ავანტიურისტების ცენტრალური ჯგუფი, რომელიც თავის თავს „საქართველოს სოციალ დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტათ“ აცხადებს; ამ სიტყვებით უმასპინძლდება ათი ათასიან მუშათა და გლეხთა მასების მიერ გარიყული და შერცხვენილი ჯგუფი მენშევიკების „ცენტრალური“ ავანტიურისტებისა იმ პატიოსან მშრომელთ, იმ ძველ რევოლიუციონერებს, რომლებმაც დაჰგმეს ავანგარდი საქართველოს კონტრ-რევოლიუციისა, ჩაჰქოლეს მისი ორგანიზაცია, წყევლა-კრულვით მოსცილდენ მას და საქართველოს მთელ მშრომელ ხალხთან, მის ხელისუფლებასთან ერთათ, ხელი ხელ ჩაკიდებული კომუნისტებთან, იწყებენ ქვეყნის ამაღორძინებელ მუშაობას.

ასეთი გამოსვლა ამ უბადრუკი „ცენტრისა“ (ვისი ცენტრის?) პირველი არ არის. ჯერ კიდევ ამ ერთი ხნის წინათ ამავე „ცენტრალურმა კომიტეტმა“ რენეგატებათ, მოღალატეებათ და ზედმეტ ბალასტათ გამოაცხადა ყველა ისინი, ვინც მოსცილდა მენშევიკურ პარტიას. ამან გამოიწვია კანონიერი აღშფოთება მუშებში და გლეხებში, აღშფოთება, რომელმაც ჰპოვა მჭერმეტყველი გამოხატულება მთელ რიგ რეზოლიუციებში და დეკლარაციებში ყოფილ მენშევიკების კრებებზე და კონფერენციებზე ცენტრში და პროვინციაში. ამ გარემოებამ მთლათ აუბნია „დავთარი“ „ცენტრალურ კომიტეტს“. ის დღეს უფრო მორიდებით ლაპარაკობს „მოღალატე“ მასებზე და უფრო ხაზგასმით იერიში მიაქვს იმ მეთაურებზე ყოფილ მენშევიკური ბანაკიდან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ამ ისტორიულ მოძრაობას კონტრ-რევოლიუციონური პარტიიდან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამ თვალთმაქცობას თავისი მიზეზები აქვს მას აქეთ, რაც მენშევიკ მუშებმა და გლეხებმა საკადრისი პასუხი გასცეს ამ გასაოცარ „ცენტრალურ კომიტეტს“. რომელსაც აღარაფერი აღარ მოეპოვება გარდა „კომიტეტის ბეჭდისა“, მან ცოტა ხმას დაუკლო. ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ის პირი, რომელსაც კალამი უკავია ხელში და ფურცლებს სწერს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, გამოვა და დასწერს თვალთმაქცურათ, როგორც ეს სჩვევია ამ გამოქნილ და გამომწვარ იეზუიტებს, რომ მთელი ხალხი, ყველა ეს მუშები და გლეხები თუმცა შესცდნენ, მაგრამ ამ შეცდომაშიაც „პარტია“ მათთან არის სიტყვით, თუმცა, დავუმატებთ ჩვენ, საქმით განაგრძობს კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას. მაგრამ ამით ეს ავანტიურისტები ვეღარ შეიყვანენ შეცდომაში ვერც ერთ მუშას, ვერც ერთ გლეხს, ვეღარ დაატყუებენ იმ მასებს, რომლებმაც ათეული წლების განმავლობაში საკმაოთ გაიცნეს თავიანთი ყოფილი ბელადები და ჩაქოლეს ისინი.

დიდი ისტორიული დავა კომუნიზმისა და ოფიციალური სოციალიზმის ე. ი. სოციალ ნაციონალიზმის შორის თავის ლოღიკურ დასკვნას უახლოვდება საბჭოთა რესპუბლიკებში. ის, რისი გამოცნობა დღემდე უძნელდება მოღალატური სოციალიზმის ჯერ კიდევ მიმდევარ მუშებს ევროპაში, სადაც ქვეყნის სათავეში სდგას ფაშისტური ბურჟუაზია, მიღწეულია საბჭოთა ქვეყნებში. სწორეთ აქ, ამ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ უპყრია პროლეტარიატსა და მის პარტიას, სადაც კონტრ-რევოლიუციონური ბუნება მენშევიკური პარტიისა ყოველ წამს ხდება ადვილი დასანახი, ვინაიდან უშუალოთ ეხეხება ცოცხალ გამოხატულებას ამ პროლეტარიატის ნება-სურვილებისას, მის სახელმწიფოსა და მის ხელისუფლებას, იქ, სადაც ყოველი ნაბიჯი მენშევიკების მიერ გადადგმული, იმპერიალისტური რეაქციით გარემოცვის პირობებში, ღებულობს ხასიათს აშკარა მტრობისას ამ ხელისუფლების ე. ი. მუშათა კლასის წინააღმდეგ, იქ, სადაც შეიძლება იყოს **ან მტერი ან მოყვარე**—ასეთ გარემოებაში ყველას დასანახათ და სიცხადით აღმართულია საძაგელი სახე რენეგატობისა და ღალატის. ამ რენეგატობის, ამ ღალატის სრული განსახიერება შეიქნა საქართველოს რაზმი საერთაშორისო სოციალ-ნაციონალიზმის, მენშევიზმი და ეს დაინახა საქართველოს მუშათა კლასმა, ეს შეიგნო ღრმათ სწორეთ იმ მუშებმა, რომლებმაც ახლოს გაიცნეს წარსული მუშაობის გამო მათი ყოფილი პარტია და ბელადები.

„ცენტრალური კომიტეტი“ მოსთქვამს თავის ფურცელში, რომ კომპარტია და „კომუნისტი“ „არ სცნობენ სოციალისტებთან (მენშევიკებთან) შეთანხმებას“, არამედ „მხოლოთ სრულ დაჩოქებასა და დამორჩილებას“. ეს, რასაკვირველია, სრულიათ ბუნებრივია. ერთიანი ფრონტის შექმნას ჩვენში წინ უნდა უძღოდეს „სოციალისტების“: მენშევიკებისა და ესერების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განადგურება და მოსპობა იმათი, რომლებიც იყვნენ და არიან იარაღი იმპერიალიზმისა და შინაური კონტრ-რევოლიუციის, მათი დამხმარე რაზმი.

„ინგლისის ჯენტლმენების მუშაობა“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 15 აგვისტო. გაზ. „პრავდა“-ს მოწინავე წერილში „ინგლისის ჯენტლმენები სამუშაოზე“, ამხ. ლოზოვსკი სწერს: რუსეთში არსებულ ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მესაკუთრენი სულ იმ ზე ფიქრობენ თუ როგორ დაიბრუნონ ეს ქარხნები. ამაშია ჩამარხული ინგლის—რუსეთის ყველა კონფლიქტების ფესვები. ეს იყო მიზეზი უკანასკნელი ინციდენტისა რაკოვსკისთან ყველაფერი მოწესრიგებული იყო, უცბად ბინძურმა ინგლისურმა გაზეთმა „მორნინგ პოსტმა“ მოახსენა მთავრობას: „ასე რომ თვენო კეთილშობილებავ, პროლეტარიატი ქადაგობს, პროკლამაციებს უშვებს“. ეს იყო საკმარისი. ეხლა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო აწარმოებს რაკოვსკის ბიოგრაფიის შესწავლას.

ინგლისის მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდა რაკოვსკის დიდი ხნის წარსულთან.

ბრიანი და მილიერანი ხომ სოციალისტები იყვნენ, მაგრამ დაჰკვიანდენ და გახდენ იმპერიალისტებად, შავრაზმელებათ. ასეთი მინისტრები და ელჩები არიან მისაღები ბურჟუაზიისათვის. მაგრამ, რომ მინისტრი ან ელჩი სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე 6 წლის ყოფნის შემდეგ დარჩენილიყო სოციალისტად—ეს დაუჯერებელი სკანდალია დიპლომატიაში! როგორ შეიძლება მიენდო ისეთ ადამიანს, რომელიც 30 წლის განმავლობაში აკეთებდა რევოლიუციის საქმეს, ხელისუფლების სათავეში სდგას, განაგრძობს რევოლიუციონურ მოღვაწეობას და არ აქვს არავითარი საკუთრება.

სულ სხვა საქმეა—სხვა ელჩები და მინისტრები! საფრანგეთის ელჩი გერმან ლორანი არის საფრანგეთის ლითონის მრეწველთა კავშირის წარმომადგენელი, რომელიც სცდილობდა რურის დაპყრობას. ინგლისის მინისტრები ბალდვინითურთ. არიან სააქციონერო საზოგადოებათა დირექტორები, რომელთაც მიიღეს შვებულება სამინისტრო გეშეფტმახეროებისათვის. ყველას მათ აქვთ დიდი თანხები და დაკავშირებულნი არიან სამრეწველო და საფინანსო წარმოებებთან და უეცრად ასეთ პირების გვერდით—რაკოვსკი, რომელსაც არ გააჩნია არც ერთი მილიონი განაძარცვი.

კიდევ თავისებურება საბჭოთა დიპლომატების: აზნაურული და სასახლის ტიტულის უქონლობა. შრომის ნაცვლად—ამხანაგი საბჭოთა დიპლომატების წინაპრები სხვის მიწას რწყავდენ თავისი ოფლით და სულს ღაფავდენ მონობაში. საბჭოთა დიპლომატების წინაპრები, რომ ყოფილიყვნენ ეკატერინე 1, ელისაბედის, ეკატერინე დიდის ლაქიები ან მეჯინიბეები, ამისათვის ისინი მიიღებდენ ჩინებს, ორდენებს და მიწას. მაშინ ინგლისის მინისტრები ღირსეულ დიპლომატებად ჩათვლიდენ მათ.

ამიტომ როდესაც ეძლევათ მცირეოდენი საშვალება, ინგლისის ჯენტლმენები ღვთის და ადამიანების კანონების სახელით მოითხოვენ: „ბოლშევიკებო, მოგვეცით გროშებიო“. ნუ თუ ისინი ფიქრობენ ასეთი საშვალებით დაიბრუნონ საუკუნოთ დაკარგული?.“

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

ბრძოლა დროებით შეწყდა, მაგრამ არ დასრულებულა.

ბერლინი. 14 აგვისტო. საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების დღევანდელი სხდომა მრავალრიცხოვანობის გამო გაყოფილ იქნა სამ კრებათ, კრებებზე მხურვალე კამათი გაიმართა, გაისმოდა ხმები გაფიცვის გაგრძელების სასარგებლოთ ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის და კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულია რეზოლიუცია გაფიცვის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია მოძრაობის მიერ მიღწეული გამარჯვება (კუნოს ჩამოგდება) და რომელიც ახალ კოალიციონურ მთავრობას ახასიათებს აგრეთვე როგორც მტრულს მუშების მიმართ. რეზოლიუცია კვლავ აყენებს მოთხოვნილებებს ხელფასის სტაბილიზაციისა, მუშებისათვის სურსათის მომარაგებისა, რეალურ ღირებულებების ჩამორთმევის დემონსტრაციებზე და მუშათა რაზმების შექმნაზე არსებულ აკრძალვის მოხსნისა და აგრეთვე პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლების მოთხოვნილებას. ვინაიდან ხელფასის მხრით ზოგიერთ დარგის მუშები დაკმაყოფილებული არიან, დადგენილია—გაფიცვა შეწყდეს, რათა აცილებული იქნეს თავიდან ბრძოლა მოძმე-პროლეტარებთან.

ბრძოლა დროებით შეწყვეტილია, მაგრამ დასრულებული არ არის, მორიგი ამოცანაა—რეფორმისტულ გავლენის მოსპობა, პროფკავშირთა გაწმენდა შემდეგი ბრძოლის საფუძვლიან მომზადებისთვის. ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის მოხსენება მთავრობისთვის გაგზავნილ პასუხის შესახებ გაკეთებული იქნება ხვალ საღამოს.

გაფიცვები გრძელდება.

ბერლინი. 16 აგვისტო. საგაფიცვო მოძრაობა ბერლინში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, თუმცა მიდრეკილება გაფიცვისაკენ შესუსტდა. ტრამვაის მოძრაობა განახლდა. კვირას და ორშაბათს დაპატიმრებულთა რიცხვი 100 აღწევს.

ჰამბურგში გამოცხადებულია საალყო წესები. წესრიგი აღდგენილია. ტრამვაის მიმოსვლა განახლდა.

ცეიტცში (ტიურინგია) მემაღაროებმა მოახდინეს საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების ცდა. საქმეში პოლიცია ჩაერია. შედეგათ—მოკლულია 9, დაჭრილია 30 კაცი. სეფტენბერგში გაფიცულია მემაღაროები.

ლეიპციგში გაფიცული არიან ტრამვაისა და ყველა ელექტრო ტეხნიკოს-მუშები.

ვეიმარში თითქმის საყოველთაო გაფიცვაა.

„დეიჩერ-ლოკალ-ანცეიგერ“-ის გამომცემელმა დაითხოვა მოსამსახურეთა მთელი პერსონალი მუშაობის დაწყებაზე უარის განცხადებისთვის

დანციგში გემთა სააღმშენებლო სახელოსნოების მუშებმა განაახლეს მუშაობა მას შემდეგ, როცა მათ უზრუნველ უყვეს 4.000,000 მარკის ყოველდღიური ხელფასი.

ბერლინის თვითმართველობა ლოკაუტით იმუქრება

ბერლინი. 14 აგვისტო. ბერლინის მუნიციპალურ მუშათა ერთი ნაწილის მიერ გამოცხადებულ გაფიცვის გამო, ქალაქის თვითმართველობამ წინადადება მისცა გაფიცულებს დაუყოვნებლივ შესწყვიტონ გაფიცვა—წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დათხოვნილი იქნებიან.

სისხლის მღვრელი შეტაკება ჰამბურგში

ბერლინი. 14 აგვისტო. ჰამბურგში შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშებისა და შტრეიკბრეხერებს შორის. შეტაკებაში პოლიცია ჩაერია, რის შედეგათ მოკლულია რამოდენიმე მუშა და დაჭრილია მრავალი.

პალიატიური ზომები

ბერლინი. 14 აგვის. სასოფლო-სამეურნეო ლიგამ მიმართა ფერმერებს მოწოდებით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ გააძლიერონ ქალაქში კარტოფილის შეტანა სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლათ. ამავე მიზნით მთავრობამ შესწყვიტა ინგლის, იტალია და სხვა ქვეყნებისათვის ნატურალურ გადასახადის შეტანა თანახმათ ვერსალის ხელშეკრულებისა, ვინაიდან ამ გადასახადზე ფინანსების გაღებამ სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი და მარკის კურსის დაცემა გამოიწვია. ამის გამო „ფორვერტს“-ი სწერს, რომ საკონტრიბუციო ნატურალურ გადასახადის შეტანის შეწყვეტა მოახდინა წინანდელმა კაბინეტმა. შტრეზემანის კაბინეტი არაა პასუხისმგებელი ამ განკარგულებისათვის და მას არ აქვს განზრახული საკონტრიბუციო გადასახადის შეწყვეტა.

კუნოს უკანასკნელი ნაბიჯი.

ბერლინი. 13 აგვისტო. კუნოს მთავრობის უკანასკნელი აქტი იყო დადგენილება მოკავშირეებისათვის ნატურით ყოველგვარ მიწოდების დროებით შეწყვეტის შესახებ ისეთ სახელმწიფოებისათვისაც კი, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ რურის ოკუპაციაში. დადგენილებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გერმანია მზათ არის უკანასკნელ შესაძლებლობამდი შეასრულოს თავის თავზე მიღებული ყველა ვალდებულებანი, მაგრამ ამას ხელი შეუშალა დოლლარის კურსმა და იმ გარემოებამ, რომ აუცილებელი გახდა ყველა ძალების შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართვა. საკონტრიბუციო გადასახადების დროებითი შეჩერება განახლებული იქნება დაუყოვნებლივ ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ.

„ფორვერტს“-ი ხსნის პასუხისმგებლობას ამ ღონისძიებისათვის შტრეზემანის მთავრობისაგან.

შტრეზემანის კაბინეტი.

ბერლინი. 13 აგვისტო. შტრეზემანი ახალ კაბინეტში, კანცლერის თანამდებობის გარდა, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობასაც დაიჭერს; სოციალ-დემოკრატი ჰილფერდინგი, „ფინანსიურ კაპიტალის“ ავტორი—დაიჭერს ფინანსთა მინისტრის ადგილს. ძველი კაბინეტიდან როგორც ჩანს, თავის თანამდებობაზე დარჩებიან: თავდაცვის მინისტრი გეიძლერი, რომელიც ეხმარება საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციებს, გზათა მინისტრი გრემერგი, რომელმაც ჩააქრო რკინისგზელთა გაფიცვა და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი შტიგლი.

მოელიან, რომ დღეს კაბინეტის შედგენა დამთავრდება.

ბერლინი. 14 აგვისტო. გამოქვეყნდა შტრეზემანის ახალი კაბინეტის შემადგენლობა: ჰილფერდინგი—ფინანსთა მინისტრი; რობერტ შმიდტი—აღდგენის მინისტრი და ამავე დროს ვიცე-კანცლერი, სოციალ-დემოკრატი; ზორმანი—შინაგან საქმეთა მინისტრი; რაბრუხი—იუსტიციის მინისტრი; ჰესლერი—თავდაცვის მინისტრი; ეზერი—გზათა მინისტრი; ლიუტერი ცენტრის პარტიის წევრი—სასურსათო მინისტრი; ბრაუ—შრომის, ფუკსი—ოკუპაციით დაჭერილი ოლქების; რეიშერი—სახალხო პარტიის წევრი—სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტი ჯერ თავისუფალია.

სრულიად გერმანიისა და პრუსიის მთავრობათა შორის კონტაქტის შესაქმნელად, პრუსიის პრემიერი სოც.-დემოკრატი ბრაუ შტრეზემანის კაბინეტში შევა უპორტფელოთ, ხოლო შტრეზემანი კი იქნება სრულიად გერმანიის მთავრობის წარმომადგენლად პრუსიის კაბინეტში.

პრესა მთავრობის კრიზისის შესახებ.

ბერლინი. 13 აგვისტო. მემარჯვენე და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პრესა ამტკიცებს, რომ კუნოს მთავრობა გადადგა იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებს სურდათ დიდი კოალიციის შექმნა ამიტომ, რომ მას უნდობლობა გამოუცხადეს. პრესა კმაყოფილებით უცქერის ახალ მთავრობას. ცენტრის ორგანო „გერმანია“ აცხადებს, რომ ახალი მთავრობა სარგებლობს მნიშვნელოვანი უმრავლესობით პარლამენტში და აგრეთვე საკმაო ავტორიტეტით სახელმწიფოში მშვიდობიანობის და წესრიგის დასამყარებლად და რურის საკითხის წარმატებით გადასაჭრელად დიპლომატიური გზით.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებას აქტიური საგარეო პოლიტიკის შესახებ, ხსნის რურში პასიური წინააღმდეგობის გაძლიერების სურვილით.

ახალი კანცლერი

ბერლინი. 13 აგვის. კვირას შტრეზემანი გამოვა რეიხსტაგში მთავრობის დეკლარაციით და გამოაქვეყნებს პირობებს, რომლითაც სოციალ-დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს დიდი კოალიციის შექმნაზე. შტრეზემანი სახალხო პარტიის წევრია და წარმოადგენს მსუბუქი ინდუსტრიის ინტერესებს.

უკანასკნელ დროს ის თავის სიტყვებში აუცილებლად სთვლიდა დიდი კოალიციის შექმნას. რურის საკითხის შესახებ შტრეზემანი ფიქრობს, რომ რეპარაციის ჯამი არ თამაშობს როლს, მნიშვნელოვანია გერმანიის დამოუკიდებლობა. ამიტომ შტრეზემანი მზად არის გადაიხადოს რეპარაციები უფრო მეტი რაოდენობით, ვინემ კუნო, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს რურის განთავისუფლებას საფრანგეთის მიერ, რეპარაციების მტკიცე ჯამის დაწესებას და ანტანტის ჩაურევლობას გერმანიის შინაურ საქმეებში.

კომუნისტური პრესის დევნა

ბერლინი 13 აგვის. კონფისკაცია უყვეს „როტე ფანე“-ს უკანასკნელ ნომერს. რედაქციას წარუდგინეს ბრალდება სახელმწიფოს ღალატში.

ბერლინი. 14 აგვის. „როტე ფანე“- რედაქციაში კვლავ მოახდინეს ჩხრეკა. გაზეთს ხელმეორედ კონფისკაცია უყვეს.

შეთანხმების პროგრამა

ბერლინი. 13 აგვის. „ფორვერტსი“ გადმოგცემს სოციალ-დემოკრატების პირობებს დიდი კოალიციის შესაქმნელად: ფართო ფინანსიური რეფორმის გატარება მთელი სახალხო მეურნეობის მონაწილეობით და რეალურ ღირებულებათა დაბეგვრით; სავალიუტო რეფორმის განხორციელება; ოქროს სესხის გამოშვება; ოქროს ვალიუტის შემოღების მომზადება; სამუშაო ხელფასის დაწესება მტკიცე კურსის მიხედვით; რეიხსვერის გამოყოფა საიდუმლო ორგანიზაციებიდან, როგორიც არის მაგალითად ორგეშის (ემერიხის ორგანიზაცია); აქტიური საგარეო პოლიტიკა სარეპარაციო საკითხის გადაჭრის და ხალხის სრული დამოუკიდებლობის და გერმანიის რესპუბლიკის სუვერენობის დაცვის მიზნით, შუამდგომლობა გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

დოლარის კურსი

ბერლინი. 13 აგვისტო. დოლარის ოფიციალური კურსი ბერლინში უდრის 3,650,705 მარკას.

გაფიცვები გრძელდება

ბერლინი. 13 აგვისტო. სამი დღის გაფიცვების შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. მთავრობის ცნობების თანახმათ, რკინის გზაზე მოძრაობა არ შეწყვეტილა. **გაზის ქარხნები ბერლინში არ მუშაობენ.** სახელმწიფო სტამბის მუშები აღელვებული არიან. **გალლეში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა სამი დღით. შტეტინში გემების აშენებელი სახელოსნოები და სხვა ქარხნები არ მუშაობენ.**

ბერლინი. 15 აგვის. „საგაფიცვო ტერორის“ მოლოდინში დატუსაღებულია მრავალი პირი.

პროვინციაში მოძრაობა იზრდება. მრავალ ადგილებში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. გალლეს და მერზეს ოლქებში გაფიცვების კომიტეტის დატუსაღებისა და ფაშისტების პროვოკაციის გამო **შეტაკება მოხდა პოლიციასა და მუშებს შორის, რომლის დროსაც მოკლულია 10 და დაჭრილი 35 კაცი.** იტყობინებიან, რომ **ჰამბურგში ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებას, რის გამო მუშაობა შეწყდა ნავთსადგურსა, გემების აშენებელ სახელოსნოებსა და ქარხნებში; მუშაობა შეწყდა აგრეთვე სხვა ადგილებშიაც.**

გაფიცვების ხელმძღვანელების დატუსაღება

ბერლინი. 13 აგვისტო. კვირას და ორშაბათს პოლიციამ დაატუსაღა გაფიცვების მოძრაობის მრავალი ხელმძღვანელი, რომელთაც ბრალს სდებენ მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევაში.

ცვლილებები რეიხსბანკში.

ბერლინი. 13 აგვის. „ბერლინერ მონტაგს პოსტ“-ის ცნობებით, დიდი კოალიციის ყველა პარტიებმა სურვილი გამოსთქვეს რეიხსბანკის გამგეობის შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

შტრეზემანის საპროგრამო სიტყვა.

ბერლინი. 15 აგვისტო. რეიხსტაგში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა პასიურ წინააღმდეგობის განგრძობის აუცილებლობას რურში, რაზედაც დაცინვითი რეპლიკებით უპასუხეს ნაციონალისტებმა და კომუნისტებმა, რომელთაც შტრეზემანის კაბინეტს „მთავრობის კაპიტულიაცია“ უწოდეს. შტრეზემანი დაპირდა რეიხსტაგს, რომ მისი კაბინეტი იქნება ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობის კაბინეტი და განაცხადა, რომ პირველ რიგში საჭიროა რურში თავისუფალი მოქმედების მიღწევა და რეინის ოლქში იმ მდგომარეობის აღდგენა, რომლის გარანტიას იძლეოდა საერთაშორისო ხელშეკრულება. გერმანია ცოტაოდენ შესვენების შემდეგ შესძლებს სარეპარაციო საკითხის მოგვარებას, რამდენადაც მას მისცემენ საშვალებას თვით მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიური ცხოვრება.

ინგლისის მიერ საფრანგეთისადმი გაგზავნილ ნოტის გამო, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა აუცილებლობას იყოს თავშეკავებული, სანამ ნოტის ტექსტი არ იქნება გამოქვეყნებული. შტრეზემანმა არაფერი არ სთქვა ერთა ლიგაში შესვლის შესახებ, თუმცა ეს მუხლი ერთი მთავარი მუხლთაგანია სოციალ დემოკრატიის საგარეო პოლიტიკის პროგრამაში შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, შტრეზემანმა სასტიკად გაილაშქრა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც არიან გერმანიის კონსტიტუციის მტრები, მაგრამ არ დაასახელა ვინ არის გერმანიის მტერი.

ახალი არაფერია.

განცხადებას იმის შესახებ, რომ საიმპერიო მთავრობას მოეპოვება საკმაო საშვალებანი და გამოიყენებს მას მოწინააღმდეგე ელემენტებთან საბრძოლველად, ტაშით და ოვაციებით შეხვდენ ბურჟუაზიული პარტიები და დამსწრე საზოგადოება. განსაკუთრებით მოეწონათ მათ ერთი ფრაზა, რომ „საყოველთაო გაფიცვა ჩაიშალაო“. კომუნისტები კი არაერთხელ აწყვეტინებდენ სიტყვას შტრეზემანს, კერძოთ მაშინ, როდესაც შტრეზემანმა განაცხადა, რომ მუშების მოთხოვნილება მშვიდობიან დროის ხელფასის დაწესების შესახებ უარყოფილი იქნება, ვინაიდან ეს დიდ ზიანს მიაყენებს გერმანიის სახალხო მეურნეობას მსოფლიო ბაზარზე და შეასუსტებს მის კონკურენციის უნარს.

შტრეზემანის სიტყვა არაფერ ახალს არ შეიცავდა. მან აღნიშნა მხოლოდ, რომ საჭიროა ოქროს სესხის კანონპროექტის სასწრაფოდ გატარება და ხაზი გაუსვა, რომ მტკიცე საგადასახადო საშუალებანი უზრუნველყოფს სურსათის შემოტანას. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისადმი მიმართულ სიტყვაში შტრეზემანი აფრთხილებდა საზღვარგარეთელ სახელმწიფოებს, რომ მათ მოელის საფრთხე, თუ გერმანია „გაბოლშევიკდაო“.

შტრეზემანის დეკლარაცია

ბერლინი. 15 აგვისტო. კანცლერი შტრეზემანი გამოვიდა რეიხსტაგში ახალი მთავრობის დეკლარაციით. კაბინეტი წინააღმდეგობას გაუწევს ყოველგვარ ძალდატანებას გერმანიაზე. პასიური წინააღმდეგობა მდგომარეობს გერმანიის მიერ თავის სიმართლის შეგნებაში, რასაც ამ ჟამად სცნობს თვით ინგლისიც. კანცლერი თანახმაა საკითხები გადაიჭრეს არბიტრაჟის საშუალებითა და მას ეჭვი არ ებადება, რომ არბიტრაჟი დაუბრუნებს რურს თავისუფლებას. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გერმანია კვლავ შეუერთდება რურს და რეინლანდში აღდგენილი იქნება ის პირობები, რომელიც გათვალისწინებულია ამ საკითხის გამო მიღწეულ შეთანხმებაში, გერმანიას, თავისი ძალების დაჭიმვის გზით საშუალება ექნება შეასრულოს თავისი საკონტრიბუციო ვალდებულება შესაძლებლობის ფარგლებში. ფულის გადახდის განახლების პირველ პირობას წარმოადგენს გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება. მხოლოდ მომქმედი ნებისყოფა თავდაცვისათვის მისცემს გერმანიის ერს გზას თავისუფლებისაკენ. იღუპება ის, ვინც იმედს ჰკარგავს, მაგრამ კანცლერს მტკიცეთ სწამს გერმანიის მომავალი. თვითეული იმას უნდა ცდილობდეს, რომ უზრუნველყოს ეს მომავალი. რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა კაბინეტს 240 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 76-სა. კაბინეტს ხმა მისცეს: ცენტრმა, დემოკრატებმა, სახალხო პარტიამ და სოციალ-დემოკრატებმა; წინააღმდეგ წავიდენ ნაციონალისტები და კომუნისტები; ბავარიის სახალხო პარტიის 25 დეპუტატმა თავი შეიკავა ხმის მიცემის დროს.

საფრანგეთის პრესა დეკლარაციის შესახებ.

პარიზი. 15 აგვისტო. საფრანგეთის პრესის აზრით, შტრეზემანის დეკლარაცია არ სტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ ახალი კანცლერი შეეცდება შესცვალოს გერმანიის პოზიცია რურში. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სიტყვის იმ ადგილებს, სადაც შტრეზემანი, ეყრდნობა რა ბრიტანეთის ნოტაზე, აცხადებს, რომ გერმანიის სიმართლე იცნო ინგლისმაო.

„პტი პარიზიენი“ სწერს: „შტრეზემანი, ალბად, თავის სიტყვას სულ სხვა კილოთი წარმოსთქვამდა, რომ ბრიტანეთის უკანასკნელ ნოტას არ გაეღვიძებია ბერლინში, სხვათაშორის, სავსებით შემცდარი იმედები ინგლისის ჩარევაზე“.

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისის მემორანდუმი

ინგლისი იმუქრება.

ლონდონი. 13 აგვისტო. გუშინ გამოქვეყნებული ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმი მოკავშირეების მიმართ, უკანასკნელი ორი თვის მთელი მიწერ-მოწერის თანდართვით საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, აშკარათ აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთი და ბელგია, არ დაეთანხმებიან ინგლისის თვალსაზრისს, მაშინ, ინგლისი იძულებული იქნება სეპარატიულათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსავატისტების დეკლარაცია

ბაქო. 15 აგვისტო ბაქოს გაზეთებში გამოქვეყნებულია მუსავატისტების შემდეგი დეკლარაცია: „ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, მუსავატის პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და იმავე პარტიის წევრნი, ვიმყოფებით რა დიდი ისტორიული ხანის დასაწყისში, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომელი პასუხისმგებლობაც ეკუთვნის თათრის ხალხთა მოწინავე ინტელიგენციას, ვიყავით რა ყოველთვის მომხრე აღმოსავლეთის ხალხის განთავისუფლებისა ანტანტის ქვეყნების იმპერიალიზმის უღლისაგან, რომელნიც სასტიკად სთელავდენ მათ ქვეშევრდომ აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ და კერძოთ კი ხელს უშლიდენ მუსლიმან ხალხთა ეროვნულ გამოღვიძებას და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ყოველგვარ ექსპლოატაციის გარეშე ყოფა-ცხოვრებისაკენ ლტოლვას, საჭიროთ მივაჩნია განვაცხადოთ შემდეგი: ობიექტიური პირობების სრული შეგნებით ვაძლევთ სათანადო მნიშვნელობას აზერბეიჯანის განვითარებას, რომელსაც მოითხოვს მისი ისტორიული როლი აღმოსავლეთის ხალხთა ემანსიპაციის საქმეში, ჩვენ ავღნიშნავთ, რომ რუსეთის კომპარტიის მე-12-ე ყრილობის და ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ მიღებული დადგენილება ეროვნულ საკითხში უფრო რეალურ ფორმებს აძლევს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში ეროვნებათა თანასწორობას; მეორეს მხრივ, აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების ამოცანა უფრო მტკიცე საფუძვლებს პოულობს. ვიღებთ რა მხედველობაში ამას, და აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც არის მშრომელთა ინტერესების დამცველი და რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში იზიდავს ფართო მასებს, ამავე დროს კავკასიის ეროვნებათა შორის დაამყარა ნამდვილი მშვიდობიანობა, რომლის მომხრენი ყოველთვის ვიყავით ჩვენ, ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ აზერბეიჯანის ფართო მასებს, რომელნიც სისხლიდან დაიცალენ იმპერიალისტურ და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს, ფიზიკურად, ეკონომიურად და კულტურულად, ესაჭიროებათ ხანგრძლივი მშვიდობიანობა, ჩვენ, ქვემოდ ამის ხელის მომწერნი, ვაცხადებთ, რომ კატეგორიულად ვკიცხავთ ყველა იმათ, ვინც ამ საპასუხისმგებლო მომენტში გახსნიდენ აზერბეიჯანში საბრძოლველ ფრონტს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა მიეღოთ ამ ძალებს საშუალებანი და დახმარება. ჩვენ ვაცხადებთ თათრის ხალხთა მტრებათ ყველა ადგილობრივ და საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ჯგუფებს და ცალკე პირებს, რომელნიც მოუწოდებდენ ყველას საბჭოთა აზერბეიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამასთან ერთად ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ძალებით დავეხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას საბჭოთა პლატფორმაზე მუშაობის საწარმოებლად. ყოველგვარ ეჭვების და საყვედურების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მუსავატისტების არალეგალურად არსებული ორგანიზაცია დაშლილად ითვლება.

მუსავატის პარტიის ცეკას წევრები: აბდულ ვახაბ მამედ ზადე.
სადიხ კული ზადე

პარტიის წევრები:
ალეკ სალმან ზადე,
გამიდ ქარაევი,
ნოვრუზ აგაევი,
სეიდ გუსეინ სადიხოვი,
ნარიმან ბეგ ნარიმან ბეილი,
კერბალაიზელი მიხაილოვი,
ჯაფარ ჯაბად ზადე,
რაჟიმ ვექილოვი,
ალა-ალალი ზადე,
ალი ამხარ ნაჯაფოვი,
მამედ სეიდ ახუნდი.

მოვიდეს იმ მიზნით რომ საჩქაროთ მოგვარებულ იქნეს ის მდგომარეობა, რომელიც არ შეიძლება გაგრძელებულ იქნეს შემდეგშიც საერთაშორისო ვაჭრობისათვის სერიოზულ ზიანის მიუყენებლათ“.

ნოტა მოკავშირეთა ურთიერთშორის ვალების შესახებ.

მემორანდუმს, რომელიც 55 მუხლისაგან შესდგა, დართული აქვს განსაკუთრებული ნოტა მოკავშირეთა ურთიერთშორის ვალების შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა შეამციროს ვალების ის თანხა, რომელიც ინგლისს მოკავშირეთა და გერმანიისაგან ერგება და რომელიც დაახლოვებით 14,200 მილ. ოქროს მარკას უდრის.

რურის ოკუპაცია არ არის კანონიერი.

მემორანდუმი უკანონოთ სთვლის რურის ოკუპაციას და აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა სრულებით მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ ოკუპაცია არ შედის ვერსალის ხელშეკრულების მიერ გათვალისწინებულ სანქციებში. დასასრულ ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის, წინანდებულათ, აუცილებლათ სთვლის, რომ გერმანიამ შეასრულოს საკონტრიბუციო ვალდებულებანი მის გადახდის უნარიანობის მაქსიმალურ ფარგლებში. მაგრამ გერმანიის გადახდის უნარიანობა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ მიუდგომელ გამოკვლევის საშუალებით, მაგრამ მისი განსაზღვრა არ შეიძლება მარტო იმ თანხების აღნიშვნით, რომელთა მიღებაც სურთ გერმანიისაგან მის კრედიტორებს.

მემორანდუმი ამტკიცებს, რომ „ძალით ჩარევა გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებაში, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ის შეეფერება ვერსალის ხელშეკრულების პირობებს, ხელს ვერ შეუწყობს განზრახულ მიზნების განხორციელებას“. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობა უსარგებლოთ სთვლის იმ მეთოდებს, რომელსაც საფრანგეთი და ბელგია მიმართავენ. მიუხედავათ გირაოების ხელში ჩაგდებისა, რურის ოკუპაციამ, რომელმაც აუარებელი ხარჯები გამოიწვია, მოკავშირეებს იმაზე ნაკლები ნახშირი მისცა, რამდენსაც ის აძლევდა მათ წინა წლებში. რურის ოკუპაციის გამო შექმნილი მდგომარეობა საშიშროებას წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობისათვის, კერძოთ კი ინგლისის ვაჭრობისათვის.

მემორანდუმის კონკრეტიული წინადადებანი.

მემორანდუმი წინადადებას იძლევა შეყვანილ იქნენ ექსპერტთა კომისიაში, რომელმაც უნდა გამოარკვიოს გერმანიის გადახდის უნარიანობა, როგორც იმ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომელთაც უფლება აქვთ კონტრიბუციაზე, აგრეთვე ამერიკის, ნეიტრალურ ქვეყნების და თვით გერმანიის დელეგატებიც. რურის ოკუპაციის კანონიერების საკითხის შესახებ მემორანდუმი წინადადებას იძლევა გადაცემულ იქნეს იგი განსახილველათ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის.

ინგლისის მემორანდუმის გარშემო.

საფრანგეთის პრესა იმედ გაცრუებულია.

ბორდო. 13 აგვისტო. საფრანგეთის პრესა იმედგაცრუებულია ინგლისის ნოტით. წინადადებაში—სარეპარაციო საკითხის ექსპერტთა საერთაშორისო კომისიისათვის გადაცემის შესახებ, გაზ. „ლიბერტე“ ხედავს ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგობას და აცხადებს, რომ ინგლისის ანგარიშები გულისხმობს საფრანგეთის გაპორიცხვას. გაზ. „ტანი“ იგონებს 1920 წ. სპაში გამართულ სხდომის ოქმს, რომელსაც ხელი მოაწერა ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც გულისხმობდა გერმანიის ოკუპაციას, თუ უკანასკნელი არ მიაწოდებდა მოკავშირეებს ნახშირის საჭირო რაოდენობას და ამიტომ წინააღმდეგობას ხედავს ინგლისის მთავრობის განცხადებაში თითქმის რურის ოკუპაცია უკანონო იყოს.

ჟურნალ დედება ფიქრობს, ინგლისის მთავრობის წინადადებას მიზნად აქვს გერმანიის განთავისუფლება რეპარაციის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან.

ინგლისის პრესა კმაყოფილია.

ლონდონი. 13 აგვისტო. ბურჟუაზიული პრესა იწონებს ნოტას. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ (ზომიერი კონსერვატიული პრესა) ამბობს, გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა სარეპარაციო საკითხში, ამტკიცებს, რომ გერმანიის მიმართ არ ყოფილა გამოჩენილი არც სენტიმენტალიზმი და არც სისუსტე, და აშკარად ამტკიცებს, რა ზიანი მოსდის ინგლისის ინტერესებს, რის გამოც ინგლისის მთავრობა იძულებულია გამოვიდეს სეპარატიულად. გაზეთი ხაზს უსვამს ინგლისის გადაწყვეტილების სიმტკიცეს დაიცვას თავისი უფლებები, და ამავე დროს მხარი დაუჭიროს მოკავშირეებს რეპარაციების საკითხში შეღავათების მინიჭების და მოკავშირეთა ვალების მოწესრიგების მხრივ.

„საფრანგეთის და ბელგიის პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი“.

ლონდონი. 13 აგვისტო. კანადის გაზეთის „გლობ ტორონტო“-ს ლონდონის კორესპონდენტი სწერს: „ლონდონში არავის არ შეაქვს ეჭვი იმაში, რომ ანტანტა აღარ არსებობს და რომ ინგლისი ჩქარა სეპარატიულად გამოვა, რათა გამონახოს ევროპის პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზა. რა თქმა უნდა საფრანგეთის და ბელგიისაგან პასუხის მიღებამდე არაფერი არ გაკეთდება, მაგრამ პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი. იტალია, იაპონია და ჩრდილოეთ სახელმწიფოების უმრავლესობა იზიარებს ინგლისის თვალსაზრისს. ალბად ბრიტანეთის წინადადებებს ამერიკა და მცირე ანტანტის სხვა ზოგიერთი სახელმწიფოებიც მოიწონებენ. არ არის დაკარგული იმედი იმისა, რომ ბელგია აღარ მოისურვებს მონურად გაჰყვეს საფრანგეთის მილიტარიზმს.

ინგლისის პრესა მემორანდუმის შესახებ.

ლონდონი. 13 აგვისტო. კონსერვატიული პრესა ერთ ხმოვნად ესალმება მემორანდუმს, თუმცა გაზ. „ტაიმსი“ იძლევა გაფრთხილებას ბრიტანეთის მთავრობას მხრივ რაც შეიძლება ჩქარი მოქმედების შესახებ, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ რეპარაციების მთელი პრობლემა, რომელიც ძალიან ორჭოფულად არის მოყვანილი ბრიტანეთის ნოტაში დაჰკარგავს მთელ თავის აზრს სულ ახალ, მოულოდნელ პოლიტიკურ სიტუაციის შექმნის გამო. „ტაიმსი“ ალბათ, გულისხმობს გერმანიის რევოლიუციას, რომელსაც ფრანგები მზად არიან შეურიგდენ იმ პირობით, თუ რური და რეინის ოლქი მათი კონტროლის ქვეშ დარჩება.

გაზ. „დეილი მეილი“ (საბულვარო გაზეთი) და „მორნინგ პოსტი“ (ყველაზე რეაქციონური ინგლისური გაზეთი, აკრიტიკებენ რა მთავრობას, აღნიშნავენ, რომ ბალდვინი – სინდისიერი და გულახდილი ადამიანი თავისი გამოცდილებით ვერც შეძლებს ასეთი დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრას. გაზეთის აზრით, ინგლისის სეპარატიული გამოსვლა გამოიწვევს დამღუპველ შედეგებს. საფრანგეთთან შეთანხმების მაღწევა ძნელია, ვინაიდან საფრანგეთისაგან იმის მოთხოვნა, რათა მან გადაუხადოს ინგლისის ვალი ამერიკას, ინგლისი ამავე დროს ხელს უშლის საფრანგეთს შეავსოს თავისი ცარიელი ხაზინა.

ბელგია უკმაყოფილოა.

ბორდო. 13 აგვისტო. ბელგიის პრესა ხაზს უსვამს ბელგიის საზოგადოებრივ აზრის იმედის გაცრუებას ინგლისის ნოტით. არ მოელოდენ, რომ ინგლისი შეედავებოდა საფრანგეთს და ბელგიას პირველობის უფლებაზე დანგრეულ ოლქების საკონტრიბუციო თანხებით აღდგენის საკითხში.

იტალიის პრესის აზრი.

რომი. 13 აგვისტო. იტალიის პრესა ხაზს უსვამს ინგლისის ნოტის გაბედულ ტონს და ეთანხმება ინგლისის თვალსაზრისს, მაგრამ გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო რომ ინგლისი უარს ამბობს მოკავშირეთა ვალების ლიკვიდაციაზე, რომლითაც ყველაზე უფრო იტალია არის დაინტერესებული.

ინგლისის ნოტა დამაკმაყოფილებლად მიიღეს ამერიკაში.

ლონდონი, 14 აგვისტო. ტელეგრაფის ცნობის მიხედვით, ინგლისის უკანასკნელი ნოტა საფრანგეთის და ბელგიის მიმართ ამერიკის წრეებში დამაკმაყოფილებლად იცნეს.

არ შეიძლება ველოდეთ ზავს ახლო მომავალში.

რომი, 14 აგვისტო. იტალიის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ პუანკარეს საჩქაროდ დაბრუნება პარიზში ინგლისის ნოტის მიღების შემდეგ ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში ზავს არ უნდა ველოდეთ.

ნატურით გადასახადის შეტანის დროებით შეჩერება

პარიზი. 14 აგვის. გერმანიის მთავრობამ აცნობა საკონტრიბუციო კომისიას, რომ მან, ქვეყნის ეკონომიურ და ფინანსიურ საბოლოო გაკოტრების ასაცილებლად, დროებით შესწყვიტა ნატურალურ გადასახადის შეტანა. როგორც კი მარკის კურსი განმტკიცებული იქნება და ფინანსები მოწესრიგდება, გადასახადის შეტანა განახლდება.

სხვადასხვა ამბები

ბულგარეთი

დაუზოგველათ სჯიან პროტესტანტებს.

ვენა. 14 აგვისტო. ბულგარეთში დამთავრდა პლევნის კომუნისტების პროცესი. კანტომირსკის, ანჩეროვს და ხალაზევს მიესაჯა დახრჩობა. ქალაქის ხმოსნებს გრადინაროვს და ცონკოვს — სამუდამო ციხე; ექვს ბრალდებულს — 12 წლის ციხე, დანარჩენებს — 3 წლის. 9 გამართლებულ იქნა. იმავე დღეს სასამართლოს საგანგებო სესიამ ვარნაში ყოფილ ბურგომისტრს ანდრეევს და პრეფექტს დასკალოვს მიუსაჯა 14 წლის ციხე; მათ ბრალათ ედებათ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების მოწყობა.

ირლანდია

დე-ვალერა დაპატიმრეს.

ლონდონი. 16 აგვისტო. იანნისში, საგრაფო კლერში, დაპატიმრებულია ირლანდიელ რესპუბლიკანელთა ბელადი დე-ვალერა. დაპატიმრება შემდეგ პირობებში მოხდა: დე ვალერა, პირველათ მას შემდეგ, რაც ის გამოვიდა გაქცეულის მდგომარეობიდან, – მიტინგზე ამბობდა სიტყვას. დაიწყო თუ არა მან ლაპარაკი, გაჩნდა მთავრობის ჯარის ნაწილი, რომელმაც თოფი დაუშინა ბაქანს, რომელზედაც დე-ვალერა იდგა, ალყა შემოარტყა მას და დააპატიმრა ორატორი. დე-ვალერა უვნებლათ არის. გარდა რამოდენიმე კაცისა, რომლებიც არეულობის დროს დაიჭრნენ. მსხვერპლი არ არის.

როგორც სჩანს, დე ვალერას დაპატიმრება წინასწარ იყო მომზადებული, რადგან დაპატიმრებიდან რამოდენიმე საათის შემდეგ, მთავრობამ გამოაქვეყნა დიდი ბროშიურა (19 ფურცელით ინ ფოლიო), რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი დევალერას დანიშაული ყველა უკანასკნელ ამბებში.

ლონდონის გაზეთები დე ვალერას დაპატიმრებას განსაკუთრებით უაზროთ სთვლიან იმ სიმკაცრის მიხედვით, რომელიც ჯარებმა ჩაიდინეს და იმ პანიკის გამო, რომელმაც ბრბო მოიცვა და რომლის შედეგათ დაზიანდენ რამოდენიმე ქალი და ბავშვი.

პოლონეთი.

ბრძოლა მთავრობის რეაქციის წინააღმდეგ.

ვარშავა. 14 აგვისტო. „რაბოტნიკის“ ცნობების თანახმად, პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა, ბუნდისა და გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ეროვნულ საკითხის შესახებ; თათბირმა გამოარკვია, რომ ნაციონალისტურმა პროპაგანდამ არაჩვეულებრივათ გაამწვავა ეროვნული დამოკიდებულებანი. ქმნის რა ეროვნულ შუღლს და ანტისემიტიზმს, რეაქცია ფიქრობს ფარულათ გაატაროს თავისი გეგმა, რისთვისაც თათბირის მონაწილეებმა დაადგინეს შეთანხმებული ბრძოლა აწარმოონ რეაქციის განზრახვების წინააღმდეგ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ესპანეთი.

მუშები იღვიძებენ.

მადრიდი. 10 აგვისტო ესპანეთში და ანდალუზიაში ორი თვეა გრძელდება მაღაროების მუშათა გაფიცვა 3 000 მუშის მონაწილეობით. გაფიცულები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას და კანონის დაცვას უბედურ შემთხვევების შესახებ. ბისკაის ოლქში გაფიცულია 6.000 მაღაროს მუშა, რომელნიც მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას, დათხოვნილ მუშების უკანვე მიღებას და მუშათა კონტროლის დაწესებას მაღაროებში მუშაობაზე. მიუხედავათ რეფორმისტულ ლიდერების ოპოზიციისა, რეფორმისტულ კავშირის წევრები გაფიცულნი არიან პროფინტერნის მომხრე პროფკავშირთა წევრებთან ერთად

დანციგი.

საყოველთაო გაფიცვა.

ვარშავა. 10 აგვისტო. დანციგში საყოველთაო გაფიცვამ იფეთქა. ქუჩებში ჯავშნიანი დადის. პოლიცია საომარ წესზეა და ბევრ მუშებს ატუსაღებს. მუშები მოითხოვენ ხელფასის გასწორებას დოლლარის კურსით.

ნორვეგია.

გაფიცვების ტალღა.

ქრისტიანია. 10 აგვისტო. 3 აგვისტოს გამოცხადდა ქაღალდის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 12 ათასი კაცი. შაბათს იწყება სამთომადნო მრეწველობის 3000 მუშის გაფიცვა.

დანციგი.

მუშები თავისას მოითხოვდნენ.

ვარშავა. 13 აგვისტო. საყოველთაო გაფიცვა დანციგში, პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, დამთავრდა. სამუშაო ხელფასი აღდგენილი იქნება ოქროს ვალიუტის მიხედვით. „ფოლკსშტიმე“ იტყობინება რომ უმაღლესი კომისარი გაფიცვის განახლების შემთხვევაში იმუქრება პოლონეთის ჯარების გამოწვევით.

საბჭოთა კავშირში

ს. ს. რ. კ. და სრუტეების საკითხი.

რომი. 14 აგვისტო. იტალიაში მყოფმა ს. ს. რ. კ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხანაგმა იორდანსკიმ დღეს რწმუნების საბუთები გადასცა მუსოლინის და საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერა კონვენციას სრუტეების შესახებ.

რუსეთი.

სატელეგრაფო ურთიერთობა ინგლისთან

პეტროგრადი. 15 აგვისტო. უახლოეს დღეებში განახლდება პირდაპირი სატელეგრაფო ურთიერთობა ინგლისთან, მურმანსკის გზით.

სარკინიგზო ტარიფის გადიდება.

მოსკოვი. 15 აგვისტო. აგვისტოს 16-დან სამგზავრო და სარკინიგზო ტარიფი 20 პროც. გაადიდეს, სატვირთო და საბაგაჟო კი 23 პროც.

საქართველო და შვეიცარია

საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების ცაკის დადგენილება.

საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების ც. კ-ის პრეზიდიუმმა შვეიცარიაში წითელი ჯვრის საზოგადოებათა მე-XI საერთაშორისო კონფერენციაზე დელეგატის გაგზავნის საკითხის შესახებ დაადგინა:

ვიღებთ რა მხედველობაში შვეიცარიის მთავრობის მიერ ს ს. რ კავშირისადმი [illegible] პოზიციას, შვეიცარიაში გამგზავრება ცნობილი იქნეს არა სასურველათ; მაგრამ ვინაიდან ჩვენს საზოგადოებას კონფერენციის მუშაობაში მიღების მხურვალე სურვილი აქვს, წინადადება მიეცეს გადატანილ იქნეს კონფერენციის მოწვევის ადგილი სხვა სახელმწიფოში.“

ჩეხო სლოვაკიის კოოპერაციის დელეგაცია მოსკოვში.

მოსკოვი. 15 აგვისტო. ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის საკოოპერაციო ორგანიზაციათა დელეგაცია, რუსეთის კოოპერაციასთან სავაჭრო კავშირის გასაბმელად დელეგაცია ნიჟნი-ნოვგოროდში გაემგზავრება

როგორ მოქმედობს ბრიტანეთის მთავრობა.

მოსკოვი. 15 აგვისტო. ბრიტანეთის მთავრობა იმ ყალბ ცნობების თანახმად, რომელიც დაბეჭდილი იყო თეთრ პრესაში სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომში ამხ. რაკოვსკის მიერ წარმოთქმულ სიტყვის ტექსტის შესახებ, ამწვავებს რუსეთ ინგლისის დამოკიდებულებას და სრულებით ანგარიშს არ უწევს ხარკოვის გაზეთ „პროლეტარში“ 17 მაისში დაბეჭდილ სიტყვის ტექსტს, რომელიც წარმოთქმული იყო იმ დროს, როდესაც რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი რამოდენიმეთ შენელებული იყო. „ჩვენი პასუხი ინგლისის ნოტაზე, სთქვა მაშინ ამხ. რაკოვსკიმ, ნაწილობრივ აკმაყოფილებს ინგლისს; საშიში მდგომარეობა ეხლა ნაწილობრივ გაიფანტა თუ გაუგებრობანი ამოიწურებიან იმ ფაქტების შინაარსით, რომელნიც წამოყენებული არიან ინგლისის მთავრობის ნოტაში, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი გამოიჩენს ცოტაოდენ სურვილს მაინც, შესაძლებელი იქნება გამოინახოს იმ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტილება, რომელნიც ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში ორივე სახელმწიფოებს შორის დაგროვილ გაუგებრობის ფაქტებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ არც ერთი ამ საკითხთაგანი არ ღირს არც ინგლისისა და არც ჩვენი მუშის ძვლებათ“ (ტაში). ამხ. რაკოვსკის ამ მშვიდობიან ხასიათის სიტყვას ბრიტანეთის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გამოფენის გახსნის დღესასწაული

მოსკოვი. 10 აგვის. საგამოფენო კომიტეტის ცნობების თანახმად, სრულიად საკავშირო გამოფენის გახსნის გამო ადგილებზე ეწყობა დღესასწაულები ქალაქის სოფელთან დაკავშირების ლოზუნგით. ეწყობა საგუბერნიო კომიტეტების, საგუბერნიო აღმასკომების და საადგილ-მამულო სამმართველოების სპეციალური სხდომები და მიტინგები გლეხობის, პროფესიონალურ ორგანიზაციების და წითელი არმიის მონაწილეობით. გაზეთები უშვებენ სპეციალურ ნომრებს.

თევზის მთავარ სამმართველოს შეფობა ექსკურსანტებზე

მოსკოვი. 10 აგვის. თევზის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ შეფობა მიიღო იმ ექსკურსანტებზე, რომელნიც მოდიან საკავშირო გამოფენაზე კალმიკების ავტონომიური ოლქიდან, ყირგიზეთიდან და დაღესტანიდან

გამოფენის კომიტეტის მოწოდება

მოსკოვი. 13 აგვისტო. საკავშირო გამოფენის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის საგლეხო ორგანიზაციებს, ესტუმრონ გამოფენას, რათა ბოლო მოეღოს ყოველგვარ ცილისწამებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მისი მეურნეობის შესახებ გავრცელებულ ყალბ ცნობებს.

გლეხობას იწვევენ, რათა პირადათ დარწმუნდენ ს. ს. რ კ. მიწათმოქმედების უდიდეს სიმძლავრეში.

ავსტრიის ელჩი გამოფენაზე

მოსკოვი. 13 აგვის. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს, ავსტრიის ელჩმა პოლმა აღნიშნა, რომ ავსტრიის ფირმების ფართო მონაწილეობა გამოფენაზე ადასტურებს, თუ რამდენად იზრდება ავსტრიის წრეების ინტერესი რუსეთის ბაზართან დაახლოვებისადმი.

თანამედროვე ავსტრია—განაცხადა მან—ავსტრია უნგრეთის მონარქიასთან შედარებით—სამრეწველო ქვეყანაა და მას შეუძლიან დააკმაყოფილოს რუსეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ელექტრო-წარმოებით, ქიმიურ და ფარმაციულ ნაწარმოებით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ამხ. ყადი — რუსტამოვის გარდაცვალება.

ბაქო. 15 აგვისტო. ამ დღეებში უეცრად გარდაიცვალა ახალგაზრდა, 19 წლის, ამხ. ყადი—რუსტამოვი. აზერბაიჯანის გასაბჭოების დღიდან იგი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა განჯაში. ჩინებულად იცოდა თურქული ენა. მან თავდაპირველად თანამშრომლობა დაიწყო რუსეთის დეპეშათა სააგენტოს განჯის განყოფილებაში და მალე გადავიდა თურქულ კედლის გაზეთის რედაქტორად. შემდეგ ამხ. რუსტამოვი სამეურნეო დაწესებულებებში მსახურობდა და აქაც ენერგიულ თანამშრომლად ითვლებოდა ამავე დროს ამხ. რუსტამოვს კავშირი არ გაუწყვეტია მწერლობასთან, თანამშრომლობდა განჯის გაზეთში, ხოლო შარშან კი რედაქტორი იყო თურქულ „მებრძოლი განჯა“-ს. განსვენებული ღარიბი ოჯახის შვილი იყო და მუდამ ხელმოკლედ და გაჭირვებულად ცხოვრობდა. ბაქოში დიდი ხნის მისული არ იყო. აქ გადმოიყვანეს ბაქოს ორგანიზაციაში სამუშაოდ.

ბრძოლა რელიგიურ ფანატიზმთან.

ბაქო. 15 აგვისტო. ამ დღეებში კიშლის მუშათა კლუბში შესდგა სო-

მდგომარეობა გერმანიაში

(წერილები ბერლინიდან)

გერმანიის ამბები არაჩვეულებრივ სისწრაფით აახლოვებენ გადამწყვეტ მომენტს. ყოფილ კანცლერ კუნოს მთავრობა რურის პოლიტიკის სფეროში ერთხანს სრულ უმოქმედობის ბორბალში ჩავარდა. საზაფხულო კანიკულების წინ მან ვერ შესძლო ანგარიში წარედგინა რურის ოლქში თავის მომავალ მოქმედების შესახებ, ვინაიდან ის ვერ ხედავდა თავის წინ ვერავითარ გზას. იგი მტკიცეთ იყო დარწმუნებული პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელების საჭიროებაში იმ დროს, როდესაც პუანკარე რაიმე მოლაპარაკების აუცილებელ პირობათ ამ წინააღმდეგობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდა კუნოს ანგარიში და იმედი ინგლისისა და საფრანგეთის უთანხმოებას ემყარებოდა. თუ ის არ იტყუებდა თავს იმედით. რომ ინგლისი ამოათრევს ჭაობიდან გერმანიას, ყოველ შემთხვევაში მას განზრახული ჰქონდა სარგებლობის ამოწურვა ბალდვინის უფრო აქტიურ კონტინენტალურ პოლიტიკიდან, თუნდაც ეს ნახევრათ ფარულ „ღირსეულ უკან დახევაზე“ უფრო შორს არ წასულიყო. როგორც ჩანს პრესის სიტყვებიდან, ინგლისის მთავრობის მიერ პუანკარესადმი გაგზავნილ ნოტის შესახებ, პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტა და ამავე დროს, გარეგნულათ. ისეთი აზრის შექმნა, თითქოს ამით კუნომ გაიმარჯვა, სრულიად მისაღწევი იყო. და თუმცა პრესის ეს აზრი უმეტეს ნაწილათ ცალიერ წინასწარმეტყველობას წარმოადგენდა მაინც ზოგიერთის ასეთ ცნობას და, განსაკუთრებით, ვოლფის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობებს უნდა მიექცეს საკმაოდ დიდი ყურადღება. ასე, მაგალითად, ვოლფის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ 20 ივლისს ლონდონში მიღებულია დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის არავითარ მთავრობას არ შეუძლია შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა ერთგვარ გარანტიების გარეშე. მართალია, ამ ცნობის შემდეგ ვოლფის სააგენტომ განაცხადა, რომ გარანტიების გარეშე „მოსახლეობა“ არ შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობასო, ამის გარდ ვოლფის სააგენტომ გამოსცა ცნობა, რომ გერმანია ყოველგვარ დახმარებას გაუწევს რურის ოლქის 3 ვადაში გაწმენდის დადგენილების განხორციელებას. მაგრამ ამ ცნობის სიმართლეც უარყოფილი იქნა სააგენტოს მიერ, რომელმაც განაცხადა რომ ეს ცნობა რეიტერის სააგენტოს ეკუთვნისო. ამავე დროს „ბერლინერ ტაგებლატის“ ლონდონის კორესპონდენტი იცნობებოდა, რომ ინგლისის მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში წინადადებას აძლევს გერმანიის მთავრობას ხელი აიღოს პასიურ წინააღმდეგობისათვის დახმარების გაწევაზე და თანდართულ წერილში პუანკარესადმი „ინგლისის მთავრობა ურჩევს მას გადავიდეს ოკუპაციის უფრო რბილ ფორმაზე იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მთავრობა წარმოადგენს სათანადო გარანტიებს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ“.

ყოველივე ამიდან სჩანს, რომ კუნო, ჯერ ერთი, მოითხოვდა მხოლოდ „ერთგვარ გარანტიებს“ იმისათვის, რომ პასიური წინააღმდეგობა შეეწყვიტა და უკვე არ მოითხოვდა რურის ოლქის წინასწარ გაწმენდას და, მეორეც, ის, რომ ამ „ერთგვარ გარანტიების“ საკითხს სძრავს ინგლისი, რითაც კუნოსთვის აშკარა კაპიტულიაციის ახალი გზა ისახებოდა.

მაგრამ ამავე დროს გერმანიის პროლეტარიატის და საშუალო კლასების გალატაკება შეუჩერებლივ იზრდება კუნოს მთავრობა ყოველ დღე, ვალიუტის ფიქტიურ გასამაგრებლათ კაპიტალს ხელში უგდებდა 20 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს, რაც შეადგენს თითქმის 14 მილიონ მარკას ოქროთი. სწრაფათ და შეუჩერებლივ კლებულობს მუშათა შრომის ხელფასი გაუმაძღარ გველეშაპების ხროვასავით დასევია მშრომელთა მასებს გახრწნილ კაპიტალიზმის მყვლეფელები—მრეწველნი, მემამულეები, სპეკულიანტ-ჩარჩები, რათა მსხვერპლათ მიუძღვნან თავიანთ გაუმაძღარ მუცელს მშრომელთა უკანასკნელი ძალები. საზღვარი მიღწეულია სხვადასხვა ადგილას სტიქიურათ აღმოცენებული გაფიცვები, არეულობა საარსებო სურსათ-სანოვაგის უქონლობის ნიადაგზე და საზოგადოთ ყველა უკანასკნელი ამბები.

ყოველივე ეს იმ გასაოცარ მღელვარების დამახასიათებელი ნიშნებია, რომელიც მეფობს გერმანიის საზოგადოებრივ ატმოსფერაში.

ცხადია, რომ ფაშისტები, როგორც ამას ბრესლავლში ვხედავთ, სარგებლობენ როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და რეფორმისტულ პროფკავშირების პასიურ მდგომარეობით, აგრეთვე ხალხის უმწეო მდგომარეობითაც და თევზს იჭერენ მღვრიე წყალში. რამდენათ დიდია ფაშისტური საფრთხე, ამას კარგათ ხედავენ თვით „ფორვერტს“-ი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და სრულიად გერმანიის პროფკავშირთა წარმომადგენლები. „ფორვერტს“-ი, რომელმაც ორი წერილი უძღვნა გერმანიის სამოქალაქო ომს, დასცინოდა გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მუშებისადმი მოწოდებაში აფრთხილებდა მათ მოახლოვებულ ფაშისტურ საშიშროების შესახებ, მაგრამ იმავე დროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პლენუმმა თავის სარაიონო ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარები, რომლებშიაც აღნიშნავს, რომ „სულ მეტი და მეტი ცნობები მოდის ნაციონალისტურ საიდუმლო ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“. ეჭვი არ არის, რომ ამ ორგანიზაციების მთელი ქსელი მოედო გერმანიას. „სტამბის აფეთქება მიუნხენში უეჭველათ იმის დამამტკიცებელია, რომ ნაციონალისტები, რომლებიც ეზიარენ იტალიელ ფაშიზმს, შეტევაზე გადადიან“.

ეს ცირკულიარი გამოცემულია პარტიის პრეზიდიუმის და „სრულიად გერმანიის პროფკავშირთა“ წარმომადგენლების თათბირის მიხედვით „ნაციონალისტურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების გამო“.

როგორი ვერაგობა გამოსჭვივის იმ ფაქტში, რომ „სრულიად გერმანიის პროფკავშირები“, თავის „პარტიულ-პოლიტიკურ ნეიტრალობის“ მომიზეზებით, უარყოფენ კომუნისტურ პარტიის ყველა მოწოდებას და ასაბუთებენ ამას მით, რომ პოლიტიკური ბრძოლა პოლიტიკურ პარტიების საქმეაო, მაგრამ იმავე დროს მონაწილეობას იღებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან თათბირში, და შემდეგ სცემს ცირკულიარს, რომელშიაც აცხადებს, რომ თანხმოვანი მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან შეუძლებელიაო.

თვალს ეჩოთირება ის უსაზღვრო თვითკმაყოფილება, რომლითაც „ფორვერტს“-ი უპასუხებს 12 ივლისს გერმანიის კომპარტიის მოწოდებას: „საბედნიეროთ, ფაშისტებმა კარგათ იციან, რომ შეიარაღებულ მცხოვრებლების უმრავლესობა, ფაშისტების გამოსვლისთანავე მათ წინააღმდეგვე გამოვა“... და ეს მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნულ ცირკულიარში ნათქვამი იყო, რომ „უეჭველია —ფაშიზმის მჭიდრო ქსელი მთელს გერმანიაშია გავრცელებულიო“... და შემდეგ 18 ივლისს, „ფორვერტსი“ სწერს: „სოციალ-დემოკრატიულ მასებს არ აქვთ რწმენა და თვით საქმის ვითარების ძალით მათ ეს რწმენა არ შეიძლება ჰქონდეს, რომ რესპუბლიკის დაცვის საქმე შეიძლება თამამათ მიენდოს მთავრობას“.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ეს ორმაგობა, მერყეობა იმდენათ გასაოცარია და თვით პარტიის წევრებისათვის გაურკვეველია, რომ ადვილათ დასაჯერებელია საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პრესის ცნობა გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პრეზიდიუმის დადგენილების შესახებ, რომლის თანახმათ მთელს სახელმწიფოში, ესე როგორც საქსონიაში, უნდა შექმნილ იქნეს პროლეტარული რაზმები და ისიც კომუნისტების თანამშრომლობით.

ხემნიცის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“ ამის გამო სწერდა, რომ ეს დადგენილება სავსებით შეეფერება არსებულ მდგომარეობას და ყველა სოციალისტურ მუშათა მასების მიერ მიღებული იქნება სრულის კმაყოფილებით. მუშების მისწრაფება ბრძოლისაკენ იზრდება და „თუ რამე შეძლებს შეაჩეროს სამოქალაქო ომი, —ეს იქნება მხოლოთ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი“. მართალი, გერმანიის სოც.-დემ. პარტია უარყოფდა საქსონიიდან მოსულ ამ ცნობის სიმართლეს, მაგრამ თუნდაც მხოლოდ ის გარემოება, რომ სოც.-დემ. პრესის დიდმა ნაწილმა ეს ცნობა სანდოთ მიიჩნია, სავსებით ახასიათებს როგორც პარტიულ ლიდერების მერყევ პოზიციას გერმანიაზე მოახლოებულ ფაშისტურ საფრთხის მიმართ, აგრეთვე კომუნისტურ პარტიის დახშობისაკენ მტკიცე მისწრაფებას. შემდეგ, საყურადღებოა ისიც, რომ საქსონიის სოციალ-დემოკრატიის პრესამ ამ ცნობას თან დაურთო (ხემნიცის „ფოლკსშტიმე“-ს დაგვარათ) სოც.-დემოკრატიულ მუშათა სულიერ განწყობილების გამომჟღავნებული კომენტარიები.

ამავე დროს ფაშისტური კამპანია სწრაფათ ვითარდება. კუნომ გამოაქვეყნა მიმართვა მცხოვრებლებისადმი, რომელშიაც იგი მოუწოდებდა მათ „სამოქალაქო ომის მზადების წინააღმდეგ“. და მიუთითებდა საქსონიასა და ტურინგიაზე, რომლებიც სამოქალაქო ომის კერას წარმოადგენენ. იგი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ბავარიას, სადაც უბადრუკი რესპუბლიკანელები ყოველ ძალღონეს ხმარობენ სამოქალაქო ომის ასაცილებლათ. ამაზე უფრო ადრე კი საქსონიის სოციალ-დემოკრატ-პრემიერი ცეიგნერი გამოწვეული იყო ბერლინში სათათბიროთ. ალბათ ცეიგნერი ვერ შეპირდა ბატონ კუნოს საჭირო გარანტიებს ფაშიზმის განვითარების შესახებ საქსონიაში.

და აი ამგვარ მდგომარეობაში გაიელვა მოულოდნელმა ცნობამ ფაშიზმის ბელადის ერხარდტის ლეიპციგის საპყრობილიდან გაქცევის შესახებ ამ გაქცევამ ნათლათ დაგვიმტკიცა ყველას მთავრობის მთელი სისუსტე ფაშისტების მიმართ. უკვე პირველი ცნობები ამ გაქცევის გარეგან პირობების შესახებ აშკარად მოწმობენ როგორც საპყრობილეს შიგნით, აგრეთვე მის გარეთაც ფაშისტურ დახმარების არსებობას. რა არის უფრო ადვილი იმისა, რომ ამ გაქცევის დანაშაული საქსონიის მთავრობას გადაებრალოს? ამ მხრით ყველა პირობები ცენტრალურ მთავრობის სასარგებლოთ იყო განწყობილი. მთავრობის ამ სახელის გატეხის ცდას, რასაკვირველია, ჰქონდა ყველასათვის საგები თავისი მიზეზები, მაგრამ შემდეგში მიღწეული იყო სრულიათ წინააღმდეგი, რაც ნათლათ სჩანს შემდეგიდან: საქსონიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ერხარდტის გაქცევის ბრალი სავსებით ედება ცენტრალურ მთავრობის ერთ დაწესებულებას. რესპუბლიკის დაცვის სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარეს დოქტორ შმიდტის მიერ სრულიათ გაუქმებული იყო გამოძიების დასრულებამდე სიფრთხილის ყოველგვარი ზომები იმ დროის შემდეგ, რაც ერხარდტი გადაყვანილი იყო მის განკარგულებაში, ე ი. 15 მარტიდან. საქსონიის მთავრობის ცნობების თანახმათ, შმიდტის მთელი საქციელი ნათლად ამტკიცებდა, რომ ის ერხარდტის გაქცევის ხელის შემწყობი იყო.

მისი დახმარება ისე შორს მიდიოდა, რომ თვით ერხარდტმა თავისი დამცველის ნახვის დროს გამოსთქვა გაკვირვება ამის გამო. გაქცევის წინა დღით ერხარდტის ცოლსა და მის ბიძაშვილს ნება მიეცა წინასწარ ენახულათ ტუსაღი მოწმეების დაუსწრებლათ, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ მოელაპარაკნათ გაქცევის ყველა დაწვრილებების შესახებ. ერხარდტის ბიძაშვილმა, კარლოს ერხარდტმა, პირდაპირ აღიარა კუნოსა და გეინცესთან თავის ნაცნობობის შესახებ. თუ საქსონიის მთავრობა თავის ოფიციალურ განცხადებაში ფრთხილათ ამბობს, რომ „საზოგადოებრივ აზრზე ცდილობენ მოახდინონ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს!.. და სხვადასხვა, ცენტრალური მთავრობა დაჟინებით აცხადებს, რომ თუმცა საქსონიის მთავრობის ჩვენებების გამო დანიშნულია სათანადო გამოძიება, მაინც გაქცევაში ბრალი უდევს საქსონიის მთავრობასო.

ერხარდტის გაქცევის შემდეგ ოფიციალურათ იყო გამოცხადებული, რომ ერხარდტის საქმის გარჩევა დანიშნულია 24 ივლისს, ვინაიდან მთავრობა მტკიცეთ არის დარწმუნებული, რომ ამ ვადისთვის ერხარდტი დაჭერილი იქნებაო. მაგრამ, ყოველ შემთხვევისთვის, გარანტიისათვის, დაჭერილი იყო და ლეიპციგში გადაყვანილი პრინცესა გოგენლოე, რათა იმ შემთხვევაში, თუ ერხარდტი პროცესის დაწყებამდე დაჭერილი არ იქნება, უმაღლეს სახელმწიფოს სასამართლოს დანიშნულ დღეს საშუალება ჰქონოდა გარჩია საქმე, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ერხარდტის საქმესთან. გოგენლოეს წარედგინა ბრალდება ფიცის დარღვევაში. იგი მთელი წლების განმავლობაში აძლევდა ერხარდტს თავშესაფარს და ივავე დროს ფიცსა სდებდა, რომ სრულიათ არ იცის სად იმყოფება ერხარდტი და რომ მასთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. იგივე შმიდტი, რომელმაც ასეთი „დარბაისლობა“ გამოიჩინა ერხარდტის მიმართ, ხელმძღვანელობდა სხდომაზე გოგენლოეს პროცესის დროს. მეტათ საყურადღებოა ერთი საუცხოვო წვრილმანი, სახელდობრ ის, რომ დ-რ შმიდტი ცდილობდა ბრალდებული გამოეყვანა როგორც ერხარდტის მიერ „მოტყუებული საწყალი ქალი“ და თვით ერხარდტს, როდესაც უკანასკნელი უკვე ცხრა მთას იქეთ იყო დამალული, რაღაც ცუღლუტათ სახავდა. დიახაც, ერხარდტის საქციელი „დიდმნიშვნელოვან პირის“ როლში, გამოუცდელ სტუდენტის საქციელს უფრო შეეფერებოდა! კავშირი ფაშისტებთან, ფიცის დარღვევა პრინცესა გოგენლოეს მიერ, — ყოველივე ეს წარმოადგენს ბოროტმოქმედებებს, რომლის გულისათვის რომელიმე პროლეტარს მრავალ წლის ტუსაღობას მიუსჯიდენ, მაგრამ აქ საქმე „პრინცესა“-ს შეეხებოდა და ამიტომაც 6 თვის საპყრობილეთი დასჯერდენ. ასეთი განაჩენი არა თუ არ გააფრთხილებს ვინმეს ფაშისტებისათვის დახმარებისა აღმოჩენისაგან, არამედ პირდაპ[illegible] ჯილდოს წარმოადგენს ყველასათვის, ვინც ამ დახმარებას ცდილობს.

აი სწორეთ ამიტომაც ედება მთელს ქვეყანას ფაშისტური ქსელი. სჩანს, კუნო ცდილობდა გზა გაეკაფა ფაშიზმისათვის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმი კი, რეფორმისტულ პროფკავშირთა დახმარებით, მთელის ძალ-ღონით ებრძვის კომუნიზმს და ორჭოფ ზომებს იღებს ფაშიზმის წინააღმდეგ

მაგრამ პროლეტარიატი ვერ აიცილებს მომენტს, როდესაც დადგება საკითხი: „ან ისე—ან ასე“.

ზ. ოზიც.

ბერლინი, 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროსაგან

ვინაიდან ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ შეუძლებელია თავის დროზე დამთავრდეს არჩევნები,

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენცია

გადაიდო ა/წ. 25 აგვისტ. სათვის.

ადგილებზე არჩეულ საინიციატივო ბიუროს წევრები უნდა ჩამოვიდენ 24 აგვისტოსათვის.

საინიციატივო ბიურო.

საჰაერო ფლოტის კვირეულის

ჩამტარებელი ცენტრალური კომისია

წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებათ, რომლებსაც კი აქვთ ამ საგნისათვის გადარიცხული თანხები, ორი დღის განმავლობაში წარმოადგინონ კომისიაში.

(საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე).

ცენტრალური კომისია.

კლე კიშლის მუშების და გლეხების საერთო კრება მუხარების გამო. მომხსენებელმა ამხ. მამედ-ზადემ დაწვრილებით გააცნო კრებას მუხარების ტრაურის მნიშვნელობა და წარმოშობა. მოხსენების შემდეგ უპარტიოებმა წარმოადგინეს რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს „მუხარების უწესოების“ ლიკვიდაციას და ტრაურის ღირსეულათ დაცვას. რეზოლიუცია მიიღეს ერთხმად.

ამ დღეებში შესდგა მუხარების გამო სოფელ ბუზოვნის მშრომელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 700 კაცი. პარტიულ ამხანაგების მოხსენებების შემდეგ სიტყვა მიეცა მუსულმანურ სასულიერო წოდების წარმომადგენელს ახუნდ მირზა-ალის, რომელმაც ისტორიული ცნობებით დაამტკიცა უშინაარსობა ამ ჩვეულებების, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ისლამის რელიგიასთან და მოუწოდა მშრომელებს აირჩიონ ის ნათელი გზა, რომელსაც უჩვენებს მათ საბჭოთა ხელისუფლება. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ყველა არანორმალურ მოვლენების შეწყვეტას, რომელთაც კავშირი აქვთ მუხარებთან.

საჰაერო ფლოტი.

ბაქო. 15 აგვისტო. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის უჯრედმა დაადგინა, უჯრედის ყოველი წევრის ხელფასიდან საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად გადარიცხოს თითო მილიონი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით. ამავე მიზნისათვის გადაიდო უჯრედის სალაროში დარჩენილი 50 მილიონი მანეთი.

ნავთის მიწოდება [illegible]

ბაქო. 15 აგვისტო. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ „რაფინერ ოილ მინერალ“-ის საზოგადოებასთან ხელშეკრულება დასდო 8,250 ტონა ნავთის მიწოდების შესახებ.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 15 აგვისტო. ბიბი-ეიბათის ნავთსაყუდელის მიწაშულ ადგილზე ნავთის შადრევანმა ამოხეთქა № 8 ჭიდან, რომელიც დრო-და-დრო დიდძალ ნავთის ჩქეფს ისვრის. ამ ჭაში ეხლა სდგამენ 18 დიუმიან მილებს.

12 აგვისტოს ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებზე ამოღებულია სულ 605,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მიშვებული იყო 39,000 ფ. საქაჩავიდან დაბრუნდა 385 ფ. ნავთი. დაიწმინდა 63,000 ფუთი. ბურღვაში იყო 163 ჭა. ჩაიბურღა 74 საჟენი.

აზერბეიჯანი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ბაქო, 13 აგვისტო. აზერბეიჯანის ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგეობაში მყოფი სახელმწიფო დაწესებულებები ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე გაერთიანებული გამოდიან. ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატი ერთ და იმავე დროს გამოდის როგორც მყიდველი და როგორც გამყიდველი. ბაზარზე მიწოდებული იქნება ნავთის პროდუქტების, აბრეშუმის ტყავების, მატყლის და სხვა საქონლის დიდი მარაგი. განზრახულია ბაზრობისათვის დამზადებულ ოპერაციების მაქსიმალური განვითარება. ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატს უმთავრესად აინტერესებს სატყეო მასალები, შემდეგ სხვადასხვა მექანიკური მოწყობილებები, რომელნიც საჭიროა აზერბეიჯანის თამბაქოს მრეწველობის მექანიკურათ მოწყობისათვის, ფართლეულობა, ტეხნიკური მასალები, სხვადასხვა მასალები პოლიგრაფიულ ტრესტის მოწყობისათვის და სხვა. აზერბეიჯანის ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატის გაერთიანებულმა საბაზრო წარმომადგენლობამ ფართო რწმუნება მიიღო სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად კრედიტების აღება გაცემის უფლებით. სავაჭრო ოპერაციებისათვის საჭირო საქონლის ფონდის გარდა, წარმომადგენლობას მიეცა აგრეთვე ფულის დიდი თანხები.

ვაგონი—სკოლა.

ბაქო, 12 აგვ. იმ მიზნით რომ შესაძლებელი გახდეს წერა-კითხვის უფრო წარმატებითი ლიკვიდაცია, პროფკავშირების კულტგანყოფილებები აწყობენ სპეციალურ ვაგონ-სკოლას.

რკინისგზელთა სახლები.

ბაქო, 12 აგვისტო. ბაქოს რკინისგზელთა სარაიონო კავშირი განსაკუთრებული კომისიის საშუალებით აწარმოებს იჯარით აღებულ რკინისგზელთა სახლების დათვალიერებას იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს მძიმე საბინაო კრიზისის შენელება; რკინისგზელთა სახლებიდან განზრახულია იმ პირების გამოსახლება, რომელთაც კავშირი არა აქვთ ამ სახლებთან.

სასკოლო აღმშენებლობა.

ერევანი 10 აგვისტო. ახტანის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა სკოლების რაოდენობა 28-დე აიყვანოს. განზრახულ სკოლებიდან 2 3 გაიხსნება დადაშლალის კარაკლისის თათართა მოსახლეობისათვის, სკოლების მოსაწყობად საჭირო თავდაპირველ ხარჯებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი კისრულობს.

სომხეთი

საჯარო ბიბლიოთეკა.

ერევანი. 15 აგვისტო. ეჩმიაძინის პოლიტგანათლებამ ეკონომიურ საბჭოს წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა სომხეთის სამხედრო ლიტერატურის გამოცემისა, რომელიც ნავარაუდევია 1355 ჩერვონეცის მან ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა.

სკოლების რეორგანიზაცია.

ერევანი, 12 აგვისტო. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა სკოლების რეორგანიზაციის პროექტი: 1-ლი საფეხურის სკოლებს ექნებათ 4 წლიანი კურსი, 2 საფეხურისას - 5 წლიანი.

საბჭოთა მუშაკებს შორის.

ერევანი, 12 აგვისტო. ერევანში საბჭოთა მუშაკების პროფკავშირთან დაარსდა ურთიერთ დამხმარე კასა და უმუშევართა ფონდი.

ლტოლვილები.

ერევანი, 12 აგვისტო, ოსმალეთიდან მოსაზღვრე სოფელ მარკარუში მოვიდა 400 ლტოლვილი სომეხი. მიღებულია ზომები მათ დასაბინავებლათ. მარკარუში გაიგზავნა პური და სხვა პროდუქტები. მიღებულია წინასწარი ზომები ლტოლვილთა შორის გადამდებ სნეულებათა გავრცელების წინააღმდეგ.

მებამბეობა.

ერევანი, 12 აგვისტო. არაზდაიანის რაიონის ბამბის ნათესებში გაჩნდა ავადმყოფობანი—ძირის კიბო და შავი ჟანგი. სოფლებში იმართება კრებები, რომლებზედაც მცხოვრებლებს უხსნიან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

ბანდიტების გასამართლება აჭარისტანის საგანგებო კომისიის მიერ

მუშათა კლასის მტრებს საბჭ. ხელისუფლება ღირსეულად უსწორდება. ვინც სცდილობს საბჭ. აღმშენებლობას ხელი შეუშალოს ბანდიტების გამოსვლით არევ-დარევის გავრცელებით, ასეთი პირები მშრომელთა საზოგადოების ზედმეტ ბარგათ ხდებიან და უსწორდებიან მათ ისე, როგორც მშრომელთა ხალხის დაუნდობელ მტრებს. მენშევიკების ავანტიურისტულმა მოქმედებამ წარმოშვა „ჩოლოყაშვილის ბანდა“ და მაწყავა-ღლონტის გარშემო შემოკრებილ ქურდ-ავაზაკთა რაზმები, რომელთა ბრძოლა, მუშურ გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული, სამარცხვინოდ დამთავრდა. ამ ჯგუფებიდან დარჩენილ ვაჟბატონებმა, დაჰკარგეს რა იმედი მუშურ-გლეხურ მთავრობის დამარცხების, ეხლა მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. დიდ, იციოდენ მათ, რომ მთავრობა მტკიცეთ სდგას რევოლიუციის სადარაჯოზე და თუ არ აიღებენ ისინი ხელს ბოროტ საქმიანობაზე, სასტიკათ დაისჯებიან, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი პირები

განცხადება აჭარისტანის საგანგებო კომისიისა.

აჭარისტანის საგანგებო კომისიამ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა: **1. მანწკავას ილია ფილიპეს ძე, 2 მაშავა ბიკტორ საბას ძე, 3. თოფურია სიმონ ნიკოლოზის-ძე, 4 საჯაია გედეონ ნიკოლოზის ძე, 5. თოიძე ვასილი გუსაროვის-ძე, 6. სირაძეს იუსუფ ალი-ოღლი** ბანდიტიზმისათვის, რომელიც გამოიხატა სად. ბათომში რკინისგზის კონტროლიორის მოკვლაში, მატარებლის გაძარცვაში, სპარსეთის ქვეშევრდომებზე შეიარაღებულ თავდასხმაში, სამგზავრო მატარებელზე შეიარაღებულ თავდასხმის სამზადისში და მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის.

სასჯელი მოყვანილი იქნა სისრულეში ამა წლის 11 აგვისტოს, ღამით.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 17 აგვისტოს,

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში

საკითხი გერმანიის ამბების შესახებ.

მასალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაზეთების უკანასკნელი ცნობები.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

მე-3-ე ლეგიონში პარტ-პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა.

1. პოლიტ საათი. ივლისის თვის განმავლობაში ასეულებში და ჯგუფებში ჩატარებულია 25 პოლიტ-საათი. წითელ-არმიელების დასწრება პოლიტ-საათზე გამოიხატება 95 პროც. დანარჩენები არ ესწრებოდენ სხვადასხვა განწესების გამო.

პოლიტ-საათზე ივლისის თვეში ჩატარებულია შემდეგი თემები: 1) ოქტომბრის რევოლიუცია-ხუთ საუბრათ: ა) ძალა უფლება მეფის და მემამულეების ხელში, ბ) იმპერიალისტური ომი, გ) თებერვლის რევოლიუცია, დ) ოქტომბრის რევოლიუცია.

3) კომპარტიის დანიშნულება. 2) ნაციონალურ საკითხზე მე 12 ყრილობის დადგენილება. ჩატარებულია ორ საუბრათ: ა) ნაციონალური საკითხი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ბ) მე-12 ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება ნაციონალურ საკითხზე.

3) კოოპერაციის მთლიანი დღე—ჩატარებულია სამ ბაასათ: ა) კოოპერაცია მენშევიკების დროს, ბ) კოოპერაციის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების დროს მეურნეობის აღორძინების საქმეში, გ) კოოპერატიული მოძრაობის ისტორია.

4) წითელი არმიის ისტორია—სამ-სამ ბაასათ: ა) წითელი-არმიის მოქმედება რევოლიუციის გამარჯვების დროს, ბ) წითელ-არმიის ჩამოყალიბება და მისი ფორმა პირველ ხანებში, გ) სამოქალაქო ომი და წითელი არმიის გამარჯვება.

5) ქართული წითელი არმიის ისტორია

6) ფაშიზმის გახრწნა.

7) რუსეთის პროფ-მოძრაობის მოკლე მიმოხილვა—ოთხ ბაასათ: ა) პროფ-კავშირები 1905 წლამდე, ბ) პროფკავშირების მუშაობა 1905 წელში, რევოლიუციონურ მოძრაობის დროს, გ) პროფკავშირის მუშაობა რევოლიუციის შემდეგ. დ) პროფ-კავშირის მუშაობა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ.

ჩატარებულია კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ.

გარჩეულია დეკრეტი წითელ არმიელებზე მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ № 312.

საჰაერო ფლოტის შესახებ ჩატარებულია ორი ბაასით: ა) დანიშნულება საჰაერო ფლოტის ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს, ბ) მნიშვნელობა საჰაერო ფლოტის საბჭოთა რესპუბლიკაში, ეკონომიურ და სამხედრო დარგში.

ამა თუ იმ საუბრის ჩასატარებლათ პოლიტხელები ემზადებიან თავისთვის შემდეგ დილის მეცადინეობაზე: ერთი მათგანი აკეთებს მოხსენებას და საერთო განხილვის შემდეგ მიდიან პოლიტ საათზე. პოლიტ საათი ტარდება საუბრის მეთოდით, რაც იწვევს წითელ არმიელებში დიდ სიხალისეს.

პოლიტ მეცადინეობა ლეგიონის საკომანდო და პოლიტ-განმანათლებელ შემადგენლობასთან სწარმოებს თანახმად პოლიტ-განათლებისაგან მიღებულ პროგრამისა. დასწრება უდრის 90 პროც. შეთვისება დამაკმაყოფილებელია. ცოდნის გასინჯვა არ მომხდარა.

პარტ-განათლება: პოლიტ-ცოდნის შემამოწმებელი კურსები დაარსებული არის. არსებობს სამი ჯგუფი, რომელსაც ყავს დანიშნული სათანადო ხელმძღვანელები.

პარტ-წრეები: არსებობს ორი საფეხურის. პირველში შედის ნაკლებათ მომზადებული პარტ-ამხანაგები, მეორეში კი უფრო მომზადებულნი. პირველ წრეში ირიცხება 28 ამხ., მეორეში—32.

წრეებში ჩატარებულია საუბარი შემდეგ თემებზე: 1) პირველი ინტერნაციონალის ისტორია, 2) კომპარტიის ისტორია და, 3) ნაციონალური საკითხი კრებებზე დამსწრეთა რაოდენობა უდრის 90 პროც.

ნ.

ქ. ჭიათურა

2 აგვისტოს, დღით ხუთშაბათს, ქ. ჭიათურის თეატრის დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის, ჭიათურის ორგანიზაციის კრება უპარტიო მუშებთან. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. კლ. სულავა, მდივნათ—ზ სოფრომაძე.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. მშვენიერაძე შემდეგ თემაზე: „ქალაქის შეფობა სოფელზე“ ის თავის მოხსენებაში შეეხო გლეხების მდგომარეობას და მისი თანდათანობით დაცემას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამდე. აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ ასეთ განადგურების პერიოდში მოუხდა კომპარტიას ძალაუფლების ხელში აღება, რევოლიუციონურ დიქტატურის გამოცხადება. ვრცლად შეეხო სამხედრო სამეურნეო კომუნიზმის ხანას, როდესაც წარმოებდა ბრძოლა, რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის მეურნეობის კიდევ უფრო მეტ დაცემას. შემდეგ შეეხო ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას ამ ხანაში და აღნიშნა, რომ ამ ორთა შორის უნდა არსებობდეს წონასწორობა. ამისათვის კი, სთქვა მან, ქალაქმა უნდა უხელმძღვანელოს სოფელს, მიაწოდოს მას საჭირო საგნები და სხვა, ე. ი. უნდა შეიქნეს ეგრედწოდებული ქალაქის შეფობა სოფელზე და ამისათვის მან უკვე გადასდგა ნაბიჯები; ქ. მოსკოვში იმართება გრანდიოზული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც გლეხს საშვალება მიეცემა გადახედოს სხვადასხვა კუთხის სამეურნეო ნაწარმოებს.

შეფი, სთქვა მომხსენებელმა, თავის საშეფო ნაწილს უნდა უწევდეს, როგორც მატერიალურ დახმარებას, ისე სულიერ ხელმძღვანელობას. მან პარალელი გაატარა ქალაქის შეფობისა და სამხედრო ორგანიზაციებზე შეფობის შორის და აღნუსხა ის პირობებიც, თუ რამ მიიყვანა რევოლიუციის მეთაურნი იმ დასკვნამდე, რომ შეფობა შემოეღოთ. მოიყვანა აგრეთვე ცოცხალი მაგალითი შორაპნის სამაღმასკომის შეფობის მე-11-ტე წითელი არმიის 1-ლ დივიზიის საკავშირო გუნდზე.

დაბოლოს მან იმედი გამოსთქვა, რომ შეფობა ქალაქის სოფელზე მიაღწევს თავის მიზანს ისე, როგორც ამას აღწევს სამხედრო ორგანიზაციებში.

მოხსენება კრების მიერ მიღებულ იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(16 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	26,000
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ. —	2,100
გირ. სტერლინგ. ეფექ.	25,800
ჩეკები —	23,300
დოლარები ეფექტ. —	5,500
„ ჩეკები —	4,900
ოსმ. ქაღ. ლირა ეფექტ.	3,625
იტალიური ლირა — —	200
ფრანგული ფრანკი —	275
საბჭოთა ფულის ნიშ.	18

მუშკოოპის ფასები.

(16 აგვისტო)

პური—120 ათასი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—250. ნატეხი შაქარი—1.500 ათ., ფხვნილი შაქარი 1 250. ძროხის ხორცი—400. ცხვრის ხორცი—600. აგდაშის ბრინჯი—300 ათ. ერევნის ბრინჯი—375. როსტოვის საპონი—600. მაკარონი—400. ვერმიშელი—375. წითელი ლობიო—40 თუშური ყველი—860. ჰოლანდიური ყველი—800 კარტოფილი—90. პამიდორი—75. ბადრიჯანი ც.—25. დაფშვნილი და ქვა მარილი 120—140. ხახვი გირ.—125 კვერცხი 50 ათ. ცალი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(14 აგვისტო).

პური 1 ხარ.—230-250, პური 2 ხარ.—150. ფქვილი 1 ხ.—270, ძროხის ხორცი—400—550 ცხვრის ხორცი—760. ნატეხი შაქარი—1.800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1 300. ერბო 1200—1 400 ათ. კარაქი—1.400 ათასი. თუშური ყველი—800 850. მზესუმზირას ზეთი—800. აგდაშის ბრინჯი—300—350. საპონი 700-800. კართოფილი—100 ათ. კომბოსტო—130—150. ჭარხალი 60-70. ბადრიჯანი 25—50 ც. მწვანე ლობიო—100—120. პამიდორი—100—150 კვერცხი 10 ც.—550. წითელი ლობიო—50—60. თუშური ყველი 800—900. იმერული ყველი 600 ათასი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(16 აგვისტოს)

იტალიური კონსერვები. გაზის და წყალსადენის მილები. წებო—სადურგლო რუსეთის ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი. ფანჯრის მინები. ბოთლები, კაუსტიური სოდა რუსეთის. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(16 აგვისტოს).

პეტროგრადის სადურგლო წებო 485 ფუთი 325 ჩერვ., ფრანკო გამყიდველის საწყობი. იტალიის ნახევრათ მატყლის ფართლეულობა 3 ჩერვ. მანეთი არშინი, ბაქოში, ბათომში და თბილისში ჩაბარებით, რუსეთის ფხვნილი შაქარი 1,6 ჩერვ. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი. რუსეთის ნატეხი შაქარი 2,1 ჩერვ ფუთი გერმანული სხვადასხვანაირი მედიკამენტები 12.000 ოსმალურ ქაღალდის ლირისა, ფრანკო-ბერლინი, ბათომში ჩაბარებით.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(14 აგვისტოს)

თბილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 16 აგვისტოს გამოურკვეველია.

ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილებაში

(მუშაობის მიმოხილვა ივლისის განმავლობაში).

სათბობი მასალის განყოფილების გამგეობაში ტფილისში იმყოფებიან: 5 ნავთის საწყობი, 15 სხვადასხვა სავაჭრო და ერთი მთავარი სათბობი მასალის საწყობი. პროვინციაში: ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, ბრიკეტის ქარხანა ტყიბულში, კირის ღუმელები იქვე, და 5 განყოფილება. აჭარის, ქუთაისის, ტფილის დუშეთის, ბორჩალოს და სიღნაღის.

ჩამოთვლილ წარმოებებიდან ბრიკეტის ქარხანა და კირის ღუმელები ტყიბულში არ მოქმედებენ. მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა განყოფილების ყველა სავაჭრო წარმოებაში (სათბობი მასალის სამმართველოსთან ერთად) შეადგენდა ტფილისში: მუშები 44 კაცი და მოსამსახურეები 52; პროვინციაში—მუშები 20 და მოსამსახურეები 63 კ საანგარიშო თვის ბოლოს მუშები ითვლებოდა 44 და მოსამსახურეები 57, სამუშაოზე საშუალოთ გამოცხადდა: მუშები 33 და მოსამსახურეები 46 თვეში 26 სამუშაო დღეა და 5 არა სამუშაო. მუშა ადამიან-დღეების რიცხვი კი მუშებისათვის შეადგენს 858 და მოსამსახურეებისათვის 2054 დაკარგულ ადამიან-დღეების რიცხვი აბსოლიუტურ რიცხვებში შემდეგნაირათ გამოიხატება: მუშებისათვის 295 და მოსამსახურეებისათვის 140, სულ 435. დაკარგულ ადამიან-დღეების დიდი რიცხვი აიხსნება შვებულებაში წასულთა დიდი რიცხვით.

საანგარიშო თვის განმავლობაში შემოვიდა ნავთის პროდუქტები (მაზუთი, ნავთი, ბენზინი, ზეთი, გუდრონი და სხვა) აზერბეიჯანის და შირაქის ნავთის სამმართველოდან (3029 ფუთი), კონფისკაციით ჩამორთმეული და სხვა 154461 ფ, 1 ივლისისათვის დარჩენილ ნაშთთან ერთად შემოსავალის მთელი ჯამი გამოიხატება 217.981 ფუთში.

ამ რაოდენობიდან განაწილებულია: ს მ. უ ს. სამეურნეო საჭიროებისათვის—358 07, სათბობი მასალის განყოფილების საკუთარ საჭიროებებისათვის თბილისში 2908-26, პროვინციაში 8.335 36 ფ., ს მ. უ ს. სხვა ორგანოების საჭიროებებისათვის თბილისში—7144-05, პროვინციაში—74, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცა. თბილისში—54,889-13, პროვინციაში—23.961-06, კერძო პირებს თბილისში—11 217-12 და პროვინციაში—1594 სულ გაცემულია თბილისში—75.003-23 და პროვინციაში—35504. სულ გაცემულია—110 512-25;

1 აგვისტოსათვის დარჩენილ ყველა ნავთის პროდუქტების ჯამი გამოიხატება 97.915 ფუთში.

განსაკუთრებით გამოყოფილი უნდა იქნეს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, რომელთა მოღვაწეობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

საანგარიშო თვის დასაწყისში ყველა ხარისხის ნახშირის ნაშთები გამოიხატებოდა 249 923 ფუთში, სულ კი მთელი რაოდენობა ნაშთთან ერთად უდრიდა 510.089 ფუთს, რომელ რაოდენობიდანაც დახარჯული და გაცემულია: [illegible]—4 548 ფ, საკუთარ საჭიროებებისათვის 16120 ფ. საკუთარ წარმოებებს 378, სახელწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს 73948 ფ, სულ 94.974. აგვისტოსათვის დარჩა 415.115. ნახშირის მთავარი მომხმარებლები არიან თბილისის ტრამვაი, რკინის გზა და სათბობი მასალის განყოფილება, რომლებმაც საანგარიშო თვის განმავლობაში მიიღეს პირველმა—42.732 ფ., მეორემ 30.086 ფ. და მესამემ 1.508 ფუთი.

კოოპერაცია

ჯუმათის ერთიანი მომხ. საზ-ბის რწმუნებულთა ყრილობა

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის გამგეობამ შემდეგი დეპეშა მიიღო ჯუმათის ერთიანი მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობისაგან:

ჯუმათის ე. მ ს. რწმუნებულთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ, როგორც სოფლის მეურნეობის ამღორძინებელთ და უღარიბეს გლეხთა არმიის ხელმძღვანელს და გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ კოოპერაცია შესძლებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას და მით გააუმჯობესებს უღარიბეს გლეხთა მდგომარეობას.

გაუმარჯოს საქართველოს განახლებულ კოოპერაციას და მის ხელმძღვანელებს.

ყრილობის თავმჯდომარე

მელიტონ ტაკიძე

პროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოს სამდივნოში.

ოქროს მომგებიანი სესხი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა კულტგანყოფილებას გაანვითაროს პროფკავშირების წევრთა შორის, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი აგიტაცია ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის საკითხის შესახებ

სოციალურ დაზღვევის ფონდის დაარსება.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ის საორგანიზაციო მუშაობა, რომელიც ამ ჟამათ ტარდება რესპუბლიკანურ მასშტაბით სოციალურ დაზღვევის კასების აღსადგენათ, ჯერ-ჯერობით უდროოთ იცნო დაზღვევის გადასახადების ცენტრალიზაციის გატარება ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ფონდების ცენტრალიზაციის საკითხის საბოლოო გადასაწყვეტათ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე გადაწყვეტილია მოსმენილ იქნეს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის ამხ. იაშვილის მოხსენება ამ საკითხის შესახებ.

ნაციონალური ენების შემოღება საქართველოს პროფკავშირებში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას გაატაროს ცხოვრებაში სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დადგენილება ნაციონალური ენების შემოღების შესახებ საქართველოს პროფკავშირებში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დადგენილების თანახმათ, საქმის წარმოება და პროფესიონალური პროპაგანდა წარმოებული უნდა იქნეს ნაციონალურ ენებზე.

ჰაეროპლან „საქართველოს პროფკავშირები“-ს ასაგებათ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობებს, რომ საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში შეგროვილი ყველა თანხები გადაცემულ იქნეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში ჰაეროპლან „საქართველოს პროფკავშირები“-ს ფონდის სასარგებლოთ.

განმრიგებელი კომისია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან ხელახლა დაარსდა განმრიგებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებისაგან და თითო წარმომადგენლები მელითონეთა, კომუნალურ მუშაკთა და საბჭოთა მუშაკების კავშირებიდან.

ყველა საკითხები კომისიაში გადაწყვეტილი იქნებიან დაინტერესებულ კავშირების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ნათესავების ერთად სამსახური.

ნათესავების ერთად სამსახურის შესახებ დადგენილების გამოცემის გამო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ საჭიროთ დაინახა მიუთითოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ უმუშევრობასთან მებრძოლ განსაკუთრებულ კომისიას, რომ უმუშევრობასთან ბრძოლისათვის საჭიროა გამოცემულ იქნეს დადგენილება იმის შესახებ, რომ პირველ რიგში მოხსნილ იქნან თანამდებობიდან ისეთი პირები, რომელთაც თავის ოჯახში ყავთ სხვა დაწესებულებაში მოსამსახურე წევრები; აღნიშნული ღონისძიება გატარებული უნდა იქნეს ამ ჟამათ როდესაც შტატების შემცირება სწარმოებს ყველა დაწესებულებებში და პირველ რიგში გაგზავნილ უნდა იქნენ სამუშაოზე შრომის ბირჟიდან ისეთი პირები, რომელთაც ოჯახში არა ყავთ მუშაკები.

უმუშევრობასთან მებრძოლ განსაკუთრებულ კომისიას წინადადება მიეცა ყველა ზომები მიიღოს იმისათვის, რომ დაკანონებულ იქნეს დეკრეტის მიერ და გატარებული ცხოვრებაში აღნიშნული ღონისძიებები.

უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიის მუშაობა.

უმუშევრობასთან მებრძოლმა კომისიამ საქართ, პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობის შეერთებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.

უმუშევართა რიცხვი საქართველოში.

კომისიის განკარგულებაში მყოფ ცნობებით უმუშევართა რიცხვი მთელს რესპუბლიკაში უდრის 25 ათასს, რომელთა შორის 10 ათასი კავშირის წევრია. უმუშევრობა თანდათან იზრდება და მწვავე ხასიათს ღებულობს.

კომისიის მუშაობა.

სხვადასხვა კავშირის მიერ ტფილისში დაარსებულია სასადილო, სადაც 500 უმუშევარი სადილობს, ასეთივე სასადილო ეწყობა ბათომში 200 უმუშევართათვის. კომისიამ უმუშევრობის წინააღმდეგ უფრო ენერგიული ზომების მისაღებათ თავის შემადგენლობაში შეიყვანა ს. მ უ. საბჭოს, ქალაქის აღმასკომის, ქალთა განყოფილების და წითელი ჯვრის წარმომადგენელნი, რომელნიც უმუშევრობასთან ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ.

ჯერ-ჯერობით „წითელმა ჯვარმა“ აღუთქვა კომისიას საზოგადო სამუშევართა მოსაწყობათ ნახევარი ხარჯების დაფარვა და უმუშევართა სამშობლოში გასაგზავნათ ფულად დახმარების მიცემა.

ქალაქის აღმასკომმა დაადგინა მონაწილეობა მიიღოს საზოგადო სამუშაოების მოწყობაში.

შიმშილობის შედეგებთან მებრძოლმა კომისიამ გადასდო 1—1 ნახ. მილიარდი მანეთი ყოველთვიურათ უმუშევართა დასახმარებლად.

მენშევიკური პარტიის ასასრული

დეპეშა საქ. კ. პ. ტფილისის კომიტეტს

გარე-კახეთის ყოფილ მენშევიკების პირველი კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა იმ მიზნით, რომ ჯამი გაეკეთებია თავისი შემცდარი მუშაობისათვის ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მომენტიდან, გიძღვნისთ მხურვალე სალამს თქვენ, როგორც იმ პარტიის ორგანიზაციას, რომელმაც გადასდგა ისტორიული ნაბიჯები ყველა ქვეყნის მუშების და ღარიბ გლეხების გაერთიანების საქმეში.

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლიუციას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს, მე-3-ე კომინტერნს.

კონფერენციის თავმჯდომარე:

მაისურაძე.

საზოგადო სამუშაოთა მოწყობა.

კომისია შეუდგა შეშის დასამზადებლად საზოგადო სამუშაოს მოწყობას. სატყეო კომიტეტი თანახმაა ამუშავოს 600 უმუშევარი, თუ კომისია სატყეო კომიტეტს სესხად 15 მილიარდ მანეთს მისცემს.

მცირე წლოვანთა სახლი.

კომისიამ მცირე წლოვან უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადასწყვიტა დაარსოს მცირეწლოვანთა სახლები, სადაც სხვადა სხვა ხელოსნობის შესასწავლად მოეწყობა სახელოსნოები. სახლების მოსაწყობათ ცალკე კომისია იქნა არჩეული.

საქ პროფ. კავ საბჭოს დადგენილება.

ს. პ. კ ს დაადგინა, დაარსდეს უმუშევრობასთან მებრძოლი მუდმივი კომისია, რომელსაც უმთავრესად დაევალება საზოგადო სამუშაოთა. მოწყობა და უმუშევართა შორის კულტ.-განმანათლებელი მუშაობის წარმოება.

მედიკო-სანიტარულ კავშირში.

საკომპენსაციო.

კავშირის დადგენილების თანახმად მუშა-მოსამსახურეს შტატ-გარეშე დარჩენის ან სამსახურიდან დათხოვის დროს, საკომპენსაციოთ უნდა მიეცეს ორი კვირის ჯამაგირი, ხოლო თუ იგი არ იყო გაფრთხილებული, ერთი თვის ჯამაგირი.

დაწესებულებათა გადათვალიერება.

კავშირმა დაადგინა, მოაწყოს ყველა დაწესებულებათა დათვალიერება იმის გასაგებათ, თუ როგორ ტარდება შრომის დაცვის კანონები.

კოლექტ. ხელშეკრულების ვადა.

კოლექტ ხელშეკრულების ვადა გრძელდება 1924 წლის პირველ იანვრამდე, ხოლო ხელფასი უნდა გადასინჯოს ყოველ სამ თვეში ერთხელ.

ბინები კავშირის წევრთათვის.

კავშირმა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა მის განკარგულებაში გადასულ 57 სახლიდან, 4 სახლი დაეთმოს მედ. სან. მუშ. კავშირის ბინის უქონელ წევრებისათვის.

სამთო-მადნო მუშათა კავშირში.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა.

პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, სამთო-მადნო მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობამ ამას წინად ტყიბულის მაღაროებში გაგზავნა ინჟ პაპუნა აბაშიძე, როგორც იქაური პირობების კარგი მცოდნე, იმის გამოსარკვევად, თუ როგორია ტყიბულის მაღაროების მდგომარეობა სამთო-ტეხნიკური მხრივ, და რამდენათ დაცულია იგი რაიმე მოსალოდნელ ხიფათისაგან. ინჟ აბაშიძის მოხსენებამ გამოარკვია, რომ მაღაროებს დიდი ნაკლი აქვთ, რომლის გამოსწორებაც აუცილებლათ საჭიროა.

ბინა მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ტფილისის ადგილკომმა სთხოვა კავშირის ცენტრალურ გამგეობას, რათა ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას ს. პ. კ. საბჭოს საბინაო კოოპერატივის წინაშე, რომ მის განკარგულებაში გადასულ 57 სახლიდან სამთო-მადნო კავშირს მიეცეს 4 სახლი, კავშირის იმ წევრთათვის, რომელთაც ან სრულიად არა აქვთ ბინა, ან ბნელს, ვიწრო და ნესტიან ოთახებში სცხოვრობენ.

ახალი წევრის მიღება.

კ. ვ. ცენტ. გამგეობამ კავშირის წევრებათ დაამტკიცა 14 მუშა მოსამსახურე, რომელნიც ახლად დაარსებულ სამარგანეცო წარმოების ტფილისის სამმართველოში მსახურობენ.

ქალაქის მესამე საავადმყოფო

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში კაპიტალისტური ცხოვრების განვითარებასთან ერთად განვითარდა ბევრი სოციალური უბედურება, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია კაპიტალისტური რეჟიმის. ერთ ასეთ უბედურებად უნდა ჩაითვალოს ვენერიული ავადმყოფობა, რომელმაც მე-90-თე წლებში ისე მოიკიდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ფეხი, რომ მაშინდელი ქვეყნის მესვეურნიც კი დააფიქრა ამ გარემოებამ.

90 იან წლების დასასრულ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობამ პირველად მთელს ამიერ-კავკასიაში დაარსა ავლაბარში ვენერიული საავადმყოფო 55 საწოლით. რასაკვირველია, საწოლთა ეს რაოდენობა არა თუ ა. | კავკასიის და საქართველოს საჭიროებას აკმაყოფილებდა, არამედ თვით ტფილისისათვისაც კი არ კმაროდა; მაგრამ ქალაქის მაშინდელი ხმოსნები მეტად გულგრილად ეკიდებოდენ ამ საკითხს, და ამ პატარა საავადმყოფოს დაარსებაც უკიდურესი გაჭირვებით იყო გამოწვეული. თვით ქალაქისთვის საავადმყოფო მეტად მოუხერხებელ ადგილას იყო დაარსებული და ბევრისთვის ხშირად შეუძლებელი ხდებოდა მათი სარგებლობა. მე-20 საუკუნის დამდეგს, როცა ვენერიულმა ავადმყოფობამ მძლავრად მოიკიდა ფეხი და ამ სენით დაავადმყოფებულთა რაოდენობამ მნიშვნელოვან რიცხვს მიაღწია, 1906 წელს ქალაქის თვითმმართველობა იძულებული შეიქნა საავადმყოფო ამბულატორიით ავლაბრიდან დიდი მთავრის ქუჩაზე (ამჟამად კამოს ქუჩა) № 109, გადაეტანა, ხოლო საწოლთა რიცხვი 70 მდე გაედიდებია. რაც დრო გადიოდა, ავადმყოფობა თან და თან ვრცელდებოდა, ხოლო პატარა საავადმყოფო მოთხოვნილებას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა. ბოლოს ქალაქმა, როგორც იქნა, საავადმყოფოს გვერდით შეიძინა მიწის ნაკვეთი და 1912 წელს. განსვენებულ ექიმის ისტამანოვის (საბჭოს ხმოსნად ყოფნის დროს) ენერგიული მეცადინეობით და მუყაითობით აგებულ იქნა სპეციალური შენობა ვენერიული საავადმყოფოსათვის—უკვე 120 საწოლით ამ ჟამად ამ შენობაში მოთავსებულია ქალაქის მეორე საავადმყოფო. უკანასკნელ წლებში ქალაქმა საავადმყოფო დაუთმო სახელმწიფო უნივერსიტეტს ქირურგიული და ტერაპევტიული კლინიკისათვის, ხოლო შენობის ერთ ნაწილში მოთავსებულ იქნა ვენერიული განყოფილება. 1921 წლის ოქტომბრიდან ვენერიული განყოფილება ამ შენობიდან გადატანილ იქნა ამავე ქუჩაზე სრულიად მოუწყობილ და შეუფერებელ შენობაში (№ 34 36)

ასეთია ისტორია და დღევანდელი ვითარება საავადმყოფოსი, რომლის მდგომარეობაც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. დღეს, როცა სოციალურ ავადმყოფობასთან ბრძოლა საბჭოთა მთავრობის მიერ ერთ-ერთ დამკვრელ ამოცანად არის აღიარებული, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ იშვიათს დაწესებულებას.

საავადმყოფო ეკუთვნის ქალაქს და ამიტომ ქალაქის ადგილკომს ყველაზე მეტად ჰმართებს მასზე ზრუნვა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს ავადმყოფთა კანტინგენტს იძლევა ქალაქის მოსახლეობა; ავადმყოფებში რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავთ ფიზიკურ მომუშავეთ, ღარიბებს, უმუშევრებს, გლეხებს, ხოლო უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენენ სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი. სტატისტიკის ჩვენების თანახმად 1922 წლის 1-ლ მაისიდან 1923 წლის 16 ივნისამდე საავადმყოფოს ამბულატორიაში გაუვლია 50,000 კაცს, ხოლო სტაციონარულ განყოფილებაში მწოლიარე ყოფილა 578 კაცი, რომელთა შორის 414 ქალაქის მცხოვრებია, ხოლო პროვინციის 164. ამ ციფრებიდან ირკვევა, რომ უმთავრესად საავადმყოფო ემსახურება ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებას და მისი პატრონობა და მზრუნველობაც უმთავრესად ქალაქის აღმასკომის საქმეა, მაგრამ რაკი საავადმყოფო თავისი სპეციალური დანიშნულებით, ერთად-ერთი საქართველოსა და რამოდენიმედ ამიერ-კავკასიისთვის, მის მოწყობასა და შტატის შენახვისათვის აუცილებლად თავისი წვლილი უნდა გაიღოს როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საქართველოს სახ. კომ. საბჭომ. ეს მოთხოვნილება მით უფრო საფუძვლიანია, რომ საავადმყოფოს მეცნიერული დანიშნულებაც აქვს და სახ. განათლების კომისარიატი მის აღორძინებასა და რიგიანად მოწყობისადმი განსაკუთრებით გულისყურს უნდა იჩენდეს. ხოლო უმთავრესი ხელმძღვანელობა და პატრონობა აუცილებლად უნდა დაეკისროს მას, ვის განკარგულებაშიც იგი დღეს იმყოფება,—ტფილისის აღმასკომს.

გერბერგი.

სასამართლოს პრაქტიკიდან

დღევანდელი სასამართლო რომ სათანადო სიმაღლეზე არ სდგას ალაგ-ალაგ და მის პრაქტიკაში ბევრს უსამართლობა-გაუგებრობას აქვს ადგილი—ეს ცხადია. დიდს ქალაქებში კიდევ ხერხდება საბჭოთა ვექილებისა და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთა ზეგავლენით საქმეების ცოტათ თუ ბევრათ დაჩაგრულთა სასარგებლოთ გადაწყვეტა. პროვინცია კი ამ მხრივ საშინელ მდგომარეობაშია: ალაგ-ალაგ ნათლიმამობა, ქვრივ-ობოლთა ინტერესების აბუჩათ აგდება, „გამოჭახრაკებულ“ სპეკულიანტების სასარგებლოდ საქმეების გადაწყვეტა, გაჭირვებული მოჩივნის წინააღმდეგ მუქარა-ყვირილი—აი რა ახასიათებს პროვინციის ზოგიერთ სასამართლოს.

სანიმუშოთ მოვიყვან ჭიათურის სახალხო სასამართლოს.

ამა წლის 28—29 ივნისს მას გაურჩევია შავი-ქვის მწარმოებლის ბერძნის ნიკიტა ვაკალაპულოს და გარდაცვლილ ტარიელ აბესალომის ძე წერეთლის ობლების ქონების მზრუნველის (აპეკუნის) ეკატერინე წივილაშვილის საქმე. საქმის გარემოება შემდეგშია: 1918 წ. ქუთაისში გვარდიელებს მოუკლავთ მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებული ჯარის ნაწილების დელეგატი ტარიელ წერეთელი. მას ს. პერევისაში დარჩენია

მუშათა ცხოვრება

საჰაერო ფლოტის კვირეული „კინო-თეატრების" მუშებში

მთელს საბჭოთა რესპუბლიკებში ჩატარდა საჰაერო ფლოტის კვირეული, და ყველა შეგნებული მუშები სიხარულით შეეგება ამ დიად საქმეს, და თავის მოვალეობაც გადაიხადა შეძლებისდაგვარად. ჩვენ ვკითხულობთ გაზეთებში, სადაც არის აღნიშნული მუშების შემოწირულება პროვინციებიდან. იგივე მოვალეობა უნდა იკისრონ ყველა „კინო-თეატრების" მუშა-მოსამსახურეებმაც. მართალია 6 აგვისტოს ქ. თბილისის ყველა კინომ იმუშავა ხსენებულ ფლოტის სასარგებლოდ, მაგრამ ეს მაინც არ კმარა, ამ დიად საქმისათვის და გვმართებს მეტი შრომა და მეტი ენერგიის დახარჯვა. აქ უნდა აღინიშნოს ის რომ „კინო პალასის" მუშები მომზადებულად და სრულიად შეგნებულად შეხვდნენ ამ დიდებულ საქმეს; სიხარულით შეასრულა ამ დღის მუშაობა კინო პალასის მთელმა შტატმა და მათი მხრივ არავითარი შრომის ხელფასის თხოვნა არ ყოფილა. ასეთი შეგნებული ამხანაგები დიდი მადლობის ღირსნი არიან. სამწუხაროდ, სხვა „კინოს" მუშებმა ველარ შეიგნეს ამ კვირეულის მიზანი და ვერც გამოიჩინეს შესაფერისი მუშური ქველმოქმედება; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ესეც გამოსწორებული იქნება. ჩვენ კი გამოვეხმაურეთ ჩვენს მოწინავე ამხანაგებს და ვამბობთ: ჩვენ ყოველივე თქვენს გამოძახილზედ გამოგეხმაურებით მშრომელ მასის საკეთილდღეოდ და როგორც ერთი კაცი შევასრულებთ ჩვენს წმინდა მუშურ მოვალეობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის.

გაუმარჯოს საჰაერო ფლოტს და მის კომისიას!

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს!

მუშკორი გ. მ შვილი.

ამხ. ლენინის სახელობის კლუბში

ეს რამდენიმე თვეა, რაც ჩვენ კლუბში სწარმოებს კულტურული მუშაობა რუსულ ენაზე. აქ თვეში ორჯერ-სამჯერ იმართება წარმოდგენები და მუშები კმაყოფილი ბრუნდებიან თავიანთ სახლებში მაგრამ აქ ჰქონდა ერთის ნაკლსაც ადგილი; ეს იყო ის ნაკლი, რომ ქართულ ენაზე არ გვქონდა წარმოდგენები, მაგრამ როგორც იყო, ჩვენი მუშების ძალებით შევქმენით ქართული წრე და ივლისის თვიდან დავიწყეთ მზადება წარმოდგენების დასადგმელად. პირველი წარმოდგენა უკვე წავიდა, ბევრი მუშებიც დაესწრო ქართულ წარმოდგენას. მუშები ძალიან კმაყოფილნი დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. იმედია, რომ ამ კლუბის წევრები უფრო მეტს ენერგიას გამოიჩენენ აღნიშნულ კლუბში ქართულ წარმოდგენების განმტკიცება დამკვიდრებაში და ამით ხელს შეუწყობენ ქართველ—მუშათა თვითგანვითარებას.

მუშკორი კ. ქორელი.

წალვერში მყოფ მუშებში

(წერილი ჩვენი მუშკორისგან).

ამა წლის 2 აგვისტოს სხვა ამხანაგებთან ერთად გვეწვია წალვერში ამხანაგი ალექ. ფარნიევი. ამის გამო ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა მიტინგი ადგილობრივ თეატრის შენობაში. საღამოს ოთხი საათიდან ხალხმა დაიწყო დენა, განსაკუთრებით მუშათა დასასვენებელ სახლებიდან და სანატორიუმში მყოფ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთაგან მიუხედავად იმისა, რომ სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში მოხდა შეტყობინება მიტინგის შესახებ, დარბაზი მაინც გაიჭედა ხალხით. თავმჯდომარედ კრებამ აირჩია ამხ. ნ. იტრიევი, რის შემდეგ სიტყვა მიეცა ამხანაგ ფარნიევს. ამხანაგი ფარნიევი წმინდა მუშური ენით აკეთებს ვრცელ მოხსენებას მომენტის შესახებ. იგი აშუქებს ნათლად ევროპის მდგომარეობას, და თუ როგორი იერიშები მოაქვს მსოფლიო ბურჟუაზიას ფაშიზმის სახით პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამხ. ფარნიევი მოუწოდებს საქართველოს ყოფილ მენშევიკურ პარტიის მუშა-წევრებს, რათა ამ საბედისწერო დროს ისინი დაუბრუნდნენ პროლეტარიატს და ჩადგნენ რევოლიუციის რიგებში და გაამაგრონ იგინი.

ორატორს ხშირი ტაშის ცემით აწყვეტინებდნენ სიტყვას. ამხანაგ ფარნიევის შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. ამხ. ატოევი, მჟავანაძე, ჯაველიძე, იტრიევი და სხვ.

მუშების მხრივ იყო წერილობითი შეკითხვები, რომლებზედ სათანადო პასუხს აძლევს ამხ. ფარნიევი. დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ წალვერში მყოფნი მუშა-მოსამსახურენი მხურვალეთ მივესალმებით იმ ამხანაგებს, სოციალ-დემოკრატიის პარ. წევრებს, რომლებმაც არ უღალატეს თავის წარსულს და ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზას დაადგენ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ მუშურ ხელისუფლებათ აღიარებით. მოუწოდებთ ყველა გულწრფელ მუშას, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით ვერ გამორკვეულა და ოპორტიუნისტულ პარტიების ბრმა იარაღი გამხდარა, გამოფხიზლდეს და დაუბრუნდეს თავის ნამდვილ რევოლიუციონურ კერას, კომპარტიას, გაუმარჯოს პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტს! გაუმარჯოს კომინტერნს!

კრების თავმჯდომარე მუშა ნ. იტრიევი.

სახალხო სახ. ქართულ დრამაში

ხუთშაბათს 9 აგვისტოს საღ. 7 საათზე, თეატრის სარეპეტიციო დარბაზში შესდგა ქართულ დასის მსახიობთა კრება თავმჯდომარეობდა—ხახანაშვილი, მდივნობდა — ელიაშვილი.

გამგეობის სახელით მომავალ სეზონის შესახებ მოხსენებას აკეთებს სამსონ ტოროშელიძე.

მომხსენებელი აღნიშნავს გეგმას გამგეობის მუშაობისას მომავალ სეზონისათვის, სახელდობრ რეჟისორის მოწვევის და მასთან მოლაპარაკების შესახებ; მასთან გამგეობას ჰქონებია განზრახული დასის ჩამოყალიბება, რეპერტუარის გადასინჯვა, გადახალისება, მუშათა აუდიტორიის შექმნა ქარხანა-სახელოსნოებთან დაახლოვებით და მათთან მუშაობა და სხვ. მომხსენებელი აღნიშნავს, აგრეთვე რომ მომავალ სეზონისათვის გამგეობას მიქცეული აქვს ყურადღება დისციპლინის და წესიერების შექმნა-დამყარებაში. საჭიროა, იდეური და ნაყოფიერი მუშაობა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია; რომელშიაც საზოგადო კრება ადასტურებს და იწონებს გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საკითხებზედ.

ინფორმაციის სახით მოსმენილ იქნა საიუბილეო კომიტეტის მოხსენება. დამატებით სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ წევრებად ძველი სახალხო თეატრის მუშები. გამგეობის არჩევნები მოიხსნა დღიურ წესრიგიდან.

კრება დაიხურა ღამის 11 საათზე.

მუშკორი მელითონე.

საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

1923 წლის. 9 აგვისტოს შესდგა სამისამართო ბიუროს თანამშრომელთა საერთო კრება. სადაც დიდი უმრავლესობით გადაწყდა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ იქნას გადადებული ერთი დღის ჯამაგირი თვითეული თანამშრომლისაგან. შეგროვილ იქნა 37, 500,000 მ. *)

შ. ა. ძე.

მუშათა ქრონიკა

— **სანიტარული განათლება მუშებში.** თამბაქოს ქარხანა „პროლეტარ"-ში ა. წ. 7 აგვისტოს ექიმ ზუნტურიძის მიერ მუშებისთვის წაკითხულ იქნა ლექცია—„მუშებში სიფილისის გავრცელების და მისი მნიშვნელობის" შესახებ.

— **საზეიმო კრება „ოკას" ხუთი წლის არსებობის აღსანიშნავად** მიმდინარე წლის 12 აგვისტოს შესდგა ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა კომისარიატების თანამშრომელთა საზეიმო გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. კანის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება „ოკას" მოღვაწეობის შესახებ. მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილნი დარჩნენ მოხსენებით.

---

*) რედაქციისაგან: აღნიშნული თანხა მიიღო რედაქციამ საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისიისათვის გადასაცემათ.

უძრავ-მოძრავი ქონება (ის სცხოვრობდა მამასთან, გაყოფილი არ ყოფილა), ცოლი და სამი შვილი (მცირე წლოვანები); ამ ქონების მზრუნველათ აურჩევიათ განსვენებულის და ეკატერინა წივილაშვილისა, რომელსაც სიით უნდა ჩაებარებია ობლების ქონება; ობლებს ინახავს მზრუნველი, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაშია, მაგრამ, დახე უბედურებას, 15 ივნისს ნიკიტა ვაკალაპულო სასამართლოს უდგენს სხვადასხვა საბუთებს და ითხოულობს, რომ ობლების ქონების სიიდან გამორიცხოს ორი ქცევა ადგილი, ხის სახლი ყოველგვარი მოწყობილობით. ბეღელი სამზარეულოთი, სასიმინდე, საჯინიბო, „სამოს ხლო" ადგილი ტყით, მარნით და იქვე ჩაფლული ქვევრებით, რადგან ყველა ესენი ნაყიდი მაქვს ტარიელის მამისაგანო. ტარიელს კი არაფერი დარჩენიაო. ამ საჩივარზე სასამართლომ დაადგინა: „სასამართლო შეეხო რა საქმის ვითარებას არსებითათ, დაინახა, რომ ყველა ის ქონება, რომელიც შეტანილია სამეურვეო აწერილობაში, შედგენილი 12 ივნ. 23 წ. შეადგენდა წინათ აბესალომ წერეთლის საკუთრებას (ტერიელს მამისაგან არაფერი ერგებოდა!?), რომელიც განსაზღვრულ დროს გადადის ვაკალაპულოს ფლობელობა-განკარგულებაში, რასაც ამტკიცებს წარმოდგენილი დოკუმენტები"; განაჩენზე ხელი უწერია მოსამართლეს და ერთს მსაჯულს. სასამართლო პირწმინდათ იღებს საბუთათ ვაკალაპულოს „დოკუმენტებს", წივილაშვილისაგან წარდგენილ ცნობებს კი ყურადღებას არ აქცევს, პირიქით, უყვირის მას, ემუქრება „ჩეკით" და სხ. სასამართლოს წივილაშვილის გასამტყუნებლათ მოჰყავს პირველათ ის, რომ წივილაშვილი მზრუნველათ წელს აირჩიეს და მეორე—შორაპნის მაზრის სამიწათმოქმედო კომისიის მოწერილობა, რომ ვაკალაპულოს მიეცეს ნორმა, რადგან ის ფლობდა მასო. საკვირველი ლოღიკაა ულოღიკო ადამიანებისა. ადგილ-მამულს უფრო დიდი ხნით ფლობდენ მემამულენი, ეკლესიები და სოფლის „კულაკები" და ვაკალაპულოს ვერ ჩამოხადეს, იმ ვაკალაპულოს, რომელიც შავი-ქვის მწარმოებელია და თან დიდი ქონების კაცი. წელს აირჩიეს მზრუნველი, თუ შარშან, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საჭირო იყო მხოლოდ ვაკალაპულოს საბუთების კრიტიკის ქარცეცხლში გატარება, საბუთიანი მიუდგომელი გამოკვლევა და არა ასე შეხედვით საქმის გადაწყვეტა და ობლების გზა შარაზე დაყრა. საქმე დღეს ტფილისის სახალხო მოსამართლეთა საბჭოს ხელშია, რაც იმედს გვაძლევს საქმის სამართლიანათ გადაწყვეტისას.

„შამილ".

ტფილისის აღმასკომის 14 აგვისტოს სხდომა

სხდომას ხსნის ამხ. სუხიშვილი საღამოს 7 საათზე. სხდომას დაესწრო აღმასკომის წევრთა უმრავლესობა.

განსახილველად არის წარმოდგენილი ორი საკითხი: 1) სოციალურ დიფერენციალურ ტარიფის დაწესება წყალზე და 2) ამხ. თედო ღლონტის მოხსენება „ზაგესკომისა" და „მაშინოსტროის შორის დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება და ზაგესკომის ფინანსიური მდგომარეობა.

პირველ საკითხს ოთხი თვის ისტორია აქვს. უმთავრესი მოტივი, პირველი საკითხის წამოყენების არის წყლის მიწოდება მუშათა მასებისათვის საკმაო რაოდენობით და რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში. წყალსადენის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. ტეხნიკური, თვალსაზრისით, რაც საშუალებას უსპობს ქალაქის აღმასკომს სავსებით დააკმაყოფილოს ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილება. წყალსადენი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, რომელიც მოუხერხებელია თუ წყალსადენს შემოსავალი არ ექნა. საჭირო შეიქნა ისეთი ახალი ტარიფის გამომუშავება, რომელიც მძიმე ტვირთად არ დააწვებოდა ქალაქის ღარიბ მშრომელ მოსახლეობას და ამავე დროს სავსებით დაფარავდა წყალსადენის გასუმჯობესებლად გაწეულ ხარჯებს.

შემუშავებულ იქნა სამი პროექტი ამხ რუხაძის, ამხ. დოლიძის და ინჟ. ამხ. დიასამიძის მიერ.

სამივე პროექტი ამ ერთი თვის წინად განხილული იყო აღმასკომის მცირე პლენუმის სხდომაზე და პროფკავშირის საბჭოში, რომელმაც პროექტი ამხ. დიასამიძის სრულიად უარყო, ხოლო ორი ამხ. ამხ. რუხაძისა და დოლიძის პროექტებმა თანაბარი ხმა მიიღო.

საკითხის დეტალურად შესასწავლად სამივე პროექტის მუხლები დაეგზავნა აღმასკომის წევრებს.

14 აგვისტოს სხდომაზე მოხსენება გააკეთეს სამივე პროექტის ავტორებმა. პროექტები პრესაშიაც იყო გამოქვეყნებული და მათ უკვე იცნობს მკითხველი საზოგადოება.

პროექტების გარშემო გაიმართა ხანგრძლივი კამათი, რომელმაც გამოარკვია, რომ არც ერთი წარმოდგენილი პროექტიდან დღევანდელი პირობებში შესაფერი და მიზანშეწონილი არ არის. თვითეული მათგანის გამოყენება სახიფათოა, მხოლოდ მათ მიერ შემოსავლის წყაროს მოსალოდნელი გადიდება საეჭვო. ამ მოსაზრებით ამხ. კახიანს და რუბენს შემოაქვთ წინადადება დარჩეს ისევ ძალაში არსებული ერთიანი ტარიფი. ხოლო წყალის უფრო ეკონომიური ხარჯისათვის შემოღებულ იქნას ყოველ ბინაზე წყალმზომები და მუშების მიერ წყალზე გასაღებ გადასახადის შესამსუბუქებლად მიენდოს ქალაქს აღმასკომს გამოიმუშავოს შეღავათიანი პირობები მუშებისათვის. ამხ. კახიანის და რუბენის წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

ამხ. ღლონტის მოხსენების მოსმენა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

სხდომა საღამოს 9 საათზე დასრულდა.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 15 აგვისტოსათვის.

ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. | წ. 17 მაისის დადგენილების № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე, ა | კ შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ა. | წ. 15 აგვისტოსათვის განისაზღვროს 50.000.000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 5.000 000 მან ა. | კ ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

ქრონიკა

— **ამხ. სემაშკოს ჩამოსვლა.** 15 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

— **დემიან ბედნი ტფილისში.** ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი პროლეტარული მწერალი ამხ. დემიან ბედნი.

— **ომში დასახიჩრებულთა შემოწმება.** ტფილისში არსებულ საექიმო საექსპერტიზო ბიურო ამოწმებს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ გამოგზავნილ ომში დასახიჩრებულთ ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში (ოთახი № 16) სამშაბათობით, დილის 11 და 2 საათამდი.

— **ავადმყოფების გაგზავნა კურორტებზე.** დაიწყო ავადმყოფების მეორე რიგის გაგზავნა კურორტებზე.

— **გამოცემათა ნიმუშების კატალოგი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ზოგიერთ წიგნის ყდის ნიმუშების კატალოგი.

— **ახალი სახელმძღვანელო.** გამოვიდა კურზენის არითმეტიკის სისტემატიური კურსი შრომის სკოლების განყოფილებათათვის თარგმანი ხარაბაძის მიერ.

— **სახელმწიფო დრამა.** სახელმწიფო დრამის დასი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ბორჯომში, ამზადებს გერმანელ მწერლის გ. კაიზერის პიესას: „გაზს", რომელიც მომავალ სეზონში დაიდგმება რუსთაველის თეატრში.

— **წითელ არმიელები საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.** კავკასიის ცალკე არმიამ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა წითელ-არმიელები, აღნიშნულ გამოფენის გასაცნობათ.

— **ქართული ენის კურსები.** საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა გახსნა ქართული ენის კურსები თავის წევრებისათვის.

— **ტფილისის მაზრის რაიონებათ დაყოფა.** განზრახულია ტფილისის მაზრის რაიონებათ დაყოფა, რომელიც მრავალი თემების მაგიერ დაყოფა 4 რაიონად: გარე-კახეთის, ასურეთი, ალბულაღის, მანგლისის და წალკის. აგრეთვე განზრახულია დაარსდეს ქალაქის განაპირა მეხუთე რაიონში.

— **ტყის მოწყობის მიზნით.** ტყის წესიერი ექსპლოატაციის მიზნით ტყეთა აღწერა და გამორკვევა უკვე დამთავრდა აწყურის და ქობლიანის მაზრაში, აღწერა სწარმოებს—ჭიათურის, ბელიკლიუჩის, სიღნაღის და ტფილისის მაზრაში ამ დღეებში დაიწყება მუშაობა აღწერისათვის ახალციხის და სურამის მაზრებში.

— **ეგნატე ნინოშვილის ძეგლი ჩაქვში.** ჩაქვის სახალხო მამულების მმართველობამ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს შეუკვეთა ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გაკეთება, რომელიც დაიდგმება აღნიშნულ მამულების ერთ ერთ თვალსაჩინო ადგილზე.

— **საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა.** გუშინწინ, 15 აგვისტოს, მოსკოვში გაიხსნა საკავშირო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

— **პროლეტკულტის ტეხნიკუმი.** პროფკავშირის საბჭოს კულტგანყოფილებამ მიმართა ყველა პროფკავშირებს, რათა პროლეტკულტის ტეხნიკუმში ჩარიცხული წევრები აღნიშნულ ტეხნიკუმში გამოცხადდნენ 20 აგვისტომდე.

— **„მისტერია ბუფფ".** მთავარსახელოვნო კომიტეტმა დაადგინა შეიძინოს საერთო რეპერტუარში შესატანათ ტიციან ტაბიძის მიერ თარგმნილი მაიაკოვსკის პიესა „მისტერია ბუფფ".

— **ახალი სკოლები.** განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით გადიდებულ იქნა უკვე დამტკიცებული ცხრაწლიანი სკოლების ქსელი ორი სკოლით, რომლებიც გაიხსნება ახალციხეში ქართველ და სომეხ ბავშვებისათვის.

— **დროშის გადაცემა.** 15 აგვისტოს თავისუფლების მოედანზე შესდგა ცეცხლისმქრობელ რაზმის ალლუმი, რის დროსაც აღნიშნულ რაზმის ქალაქის აღმასკომის სახელით ამხ. ფიალკოვსკიმ გადასცა დროშა შესაფერი სიტყვით.

— **უმუშევრები.** 13 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 927 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—93, გაიგზავნა სამუშაოზე—45.

— **სალამო სტუდენტების სასარგებლოთ.** 21 აგვისტოს „ახალ წრეში" გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტთა სასარგებლოთ.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ქრონიკაში „რკინის გზების გაზეთების სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის" შესახებ დაბეჭდილი ცნობა შეცდომითაა დაბეჭდილი. უნდა იყოს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა გაზეთების „რკინის გზელის" და „გუდოკის" ახალი სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: პეტრე ქუთათელაძე („რკინის გზელის პასუხისმგებელი რედაქტორი), ისააკიანი („გუდოკის" პასუხისმგებელი რედაქტორი), წევრებათ ხუბოვი და შევარდოვი.

პროვინციაში

შეფი სოფლებში

11 აგვისტოს მე 6 უბნის ლიანდაგიდან მე-16-ე კომუჯრედმა აირჩია საშეფო კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1) სარდლიშვილი 2) ქორიძე კლ. 3) ტუშურაშვილი. კომისია გაემგზავრა კავთისხევის თემში, რომელშიდაც შედის 33 სოფელი, 2011 კომლი მცხოვრებით. კომისიამ ინახულა კავთისხევის თემში მდებარე სკოლები, რომლებიც უყურადღებოთ არიან მიტოვებული, 12 აგვისტოს საღამოს 4 საათზე მოხდა კავთისხევის თემის მცხოვრებთა კრება, რომელზედაც ამხ სარდლიშვილმა გააკეთა მოხსენება, ჩვენი იქ ჩასვლის მიზნის შესახებ და შეეხო სოფლის კულტურულ-ეკონომიურ მხარეებს და მოუწოდა ქალაქის მუშებთან კავშირის განმტკიცებისაკენ, რასაც დიდი სიხარულით შეხვდა ადგილობრივი კომუჯრედი და დამსწრე მრავალრიცხოვანი გლეხობა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. მატიაშვილი, რომელმაც უსურვა მე 16 კომუჯრედს ენერგიული მუშაობა სოფლის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კავთისხევის თემში არსებობს ათი სკოლა, მათ შორის სამი—მასწავლებლის უყოლობის გამო არ მოქმედობს, სამკითხველოები არ არსებობს. კომისიამ დაურიგა გლეხებს ორმოცამდე სხვადასხვა წიგნაკი და ჟურნალ-გაზეთები

კლ. ქორიძე

სეფიეთის თემი (სენაკის მაზრა)

ამ თემში დღემდე გზები არ ვარგოდა დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველგან გზები გაკეთებულია—მოგაგონებს ქალაქის ქუჩებს. გახსნილია ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც საშვალებას აძლევს გლეხების შვილებს მიიღონ შესაფერი განათლება და მომზადებულათ გავიდენ ცხოვრების ასპარეზზე.

მხოლოდ ერთი რამე აფერხებს სწავლის წინსვლას; ამ თემში იყო ოთხგანყოფილებიანი სასწავლებელი, რომელსაც დღეს სჭირდება გაფართოება, რადგანაც მოწაფეები ბევრია და ძველ შენობაში ვერ ეტევიან. თითქმის რვა თვეა ეს სასწავლებელი დარღვეულია და მინდორში ფუჭდება, როგორც ფიცრები, ისე ყოველგვარი მასალა, დაუშვებელია და ბოროტმოქმედებას უდრის სახალხო ქონების ასე უყურადღებოთ მიტოვება. საჭიროა დაწყებული საქმის დამთავრება, რომ სამოსწავლო წლის დასაწყისში სოფლის ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს არაფერი გადაეღობოს წინ.

სანდრო

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

ამა წლის 7 აგვისტოს, ღამის სამ საათზედ ბოროტგამზრახველებმა სცადეს ქ. ლანჩხუთის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების პირველ განყოფილების სავაჭროს გაქურდვა, რომელიც მილიციის მიერ შემჩნეული იქმნა, ბოროტმოქმედი ადგილზე იქნა მოკლული; ის აღმოჩნდა ჯურუყვეთის თემის მცხოვრები, გაუსწორებელი ქურდი ექვთიმე კვაჭაძე. ლანჩხუთის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების გამგეობამ ლანჩხუთის რაიონის მუშათა და გლეხთა მილიციის მთელ შემადგენლობისათვის ჯილდოს სახით გაიღო 225 მილ. მან. მილიციის ფხიზელ და ენერგიულ მოქმედებისათვის. ქალაქ ლანჩხუთის მილიციას მთელი შემადგენლობით ლანჩხუთის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა უცხადებს გულითად მადლობას და აღნიშნავს, რომ კვლავინდებურათ მილიცია მთელი შემადგენლობით ალაგმავს ყველა ქურდბაცაცებს და მით დაიცავს მშრომელ გლეხკაცობის ინტერესებს.

ქ. ლანჩხუთის მ. და გ. მილიციის უფროსი **ვ. დოლიძე.**

ჩვენი ფოსტა

ბათუმი. ამხ. მარადიდელს. კარგა ხანია არაფერი მიგვიღია თქვენგან.

ზუგდიდი. საბჭ. მუშაკ. პროფკავშირის მდივანს ამხ ხვიჩიას. გაზეთი გამოგიწერიათ ოცდაოთხ ივნისს: პირველი ივნისიდან ივნისის ბოლომდე. ხელისმოწერის დღესვე მიგვიღიათ ყველა ნომრები ოცდაოთხ ივნისამდე. დანარჩენი გამოგეგზავნათ თავის დროზე. ახალი ხელისმოწერა კი არ მიგვიღია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 75.

ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 7.

ცალკე სახალხო კომისარიატებისა და უწყებების ხარჯზე ამიერკავკასიის რკინის გზით ტვირთთა და მგზავრთა ნისიად გადაზიდვის შესახებ.

1. ამიერ-კავკასიის რკინის გზით ტვირთთა და—ცალკე შემთხვევაში,—მგზავრთა (ჯგუფებად) ნისიად გადაზიდ-გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისათვის და მათ თანაბარ უწყებათათვის.

2. ნისიად გადაზიდვა შეიძლება მხოლოდ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წერილობითი წინადადებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს სახელზე—თვითეულ შემთხვევისათვის ცალკე,—ამასთანავე უმეტ-ნაკლებო სისწორით აღნიშნულ უნდა იყოს ნებადართული კრედიტის რაოდენობა.

3. ნისიად გადაზიდვის ანგარიშის გასწორება სახალხო კომისარიატებთან და უწყებებთან აწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო ერთი თვის ვადის განმავლობაში დღიდან ტვირთის გადასაზიდად მიღებისა და მგზავრთა გადაყვანისა იმ გადაყვან-გადმოზიდვის კურსით, რომელიც იქნება სასყიდლის გადახდის დღეს.

4. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, უკეთუ ნისია ვადზე გასტუმრებული არ იქნება, უნდა გაანაღდოს ნებადართული ნისია და დაჰფაროს იგი სათანადო დაწესებულებების კრედიტებიდან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველის თანამდ. დროებ. აღმასრულებელი. **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანის თანამდებ. დროებით აღმასრულებელი. **ს. ლეკიშვილი.**

დადგენილება № 76.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭო რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 7.

1. უცხოეთის სამხედრო ფორმის ტანისამოსის და მისი შესაფერი იარაღის ტარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღკრძალულია.

შენიშვნა: უცხოეთის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ იარაღის ტარება განისაზღვრება იმ წესებით, რომელიც სამისოდ დადგენილია ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის მოქალაქეთ თვის, გარდა ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული შემთხვევებისა, როდესაც მათ ნება ეძლევათ იმ იარაღის ტარებისა, რაც შეადგენს მათი სამხედრო ფორმის კუთვნილებას.

2. I-ლ მუხლში აღნიშნული აღკრძალვა არ გავრცელდება:

ა) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკაში სამსახურის საჭიროებისათვის მყოფ უცხოეთის არმიის და ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ იარაღის ტარებაზე, როდესაც ისინი, სამსახურის მოვალეობის გამო, დაესწრებიან ოფიციალურ ზეიმსა და დღესასწაულსა, ან როდესაც არის სხვა რაიმე ოფიციალური გარემოება.

ბ) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის პორტებში მდგარ უცხოეთის სამხედრო ნავეტრულის მეზღვაურთა მიერ უცხოეთის სამხედრო ფორმის ტარებაზე ნაპირზე გადმოსვლის დროს. გარდა საკომანდო შემადგენლობის პირთა, რომელთათვისაც ნაპირზე ფორმის ტარება განსაზღვრულია ლიტ. „ა"-ში აღნიშნულ შემთხვევებით.

და გ) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურის გამო მყოფ გერმანიის და შვეციის წითელი ჯვრის წარმომადგენელთა მიერ უცხოეთის სამხედრო ფორმის ტარებაზე.

3. უკვე თუ საჭიროება მოითხოვს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, უფლება ეძლევა განსაზღვროს იმ პირთა კატეგორია, რომელნიც არ შეესაბამებიან ამ დადგენილების მე-2 მუხლს და რომელთა მიმართ უცხოეთის სამხედრო ფორმის ტანისამოსის ტარების აღკრძალვა არ უნდა იქნეს შეფარდებული.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებ. დროებ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

დადგენილება. № 104.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის ლატარეა-ალეგრის მონოპოლიის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ლატარეა ალეგრის მოწყობის უფლება მიენიჭოს მარტოოდენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

2. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ენიჭება უფლება თავის სასარგებლოდ გარდაახდევინოს ლატარეა-ალეგრის მომწყობს ფულადი გამოსაღები იმ რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება სოციალური-უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მიერ.

3. ლატარეა-ალეგრის მოწყობის ნებართვას გასცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი დაადგენს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით—შეიმუშავებს ლატარეა-ალეგრის მოწყობის წესები.

5. ლატარეა-ალეგრის მოწყობა, გარეშე ამა დადგენილებაში აღნიშნული წესისა და რიგისა, აკრძალულია და დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლისამებრ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. აგვისტოს 9
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ 15 აგვისტოსათვის დანიშნული კრება მე-3 უბნის წევრებისა და კანდიდატებისა გადაიდვა პარასკევისათვის, 17 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბის ბინაზე.

მდივანი ვართაპეტიანი.

— წინადადება ეძლევა ამხ. არშაკ მარქარიანს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ც. კ. საგიტ-საპროპ. განყოფილების გამგის მაგიერ ა. ბუაჩიძე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი უცხადებს საქ. კომ. პარტ. ტფ. ორგ. მე-4 საუბნო კომიტეტის ყველა წევრებს, რომ რაიონს დათმობილი აქვს 3 ადგილი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში.

მიღების ძირითადი მოთხოვნილება:

მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა—ბოგდანოვი; შრომის ისტორია—პოკროვსკისა; სოც.-დემოკრატიის ისტორ. მიმოხილვა—ბატურინი; რუსეთის კომპარტიის განვითარების ძირითადი მომენტები—ბუბნოვი; რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია—ზინოვიევი; სახელმწიფო და რევოლიუცია—ლენინი; რ. ს. ს. ფ. რ. კონსტიტუცია—სტუჩკასი.

განცხადებები მიიღება აგვისტოს 20-დე საუბნო კომიტეტის სამდივნოში.

მე-4 საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.
3—1

განცხადებანი

ალექსანდრა მიხეილის ასული გამრეკელისა შვილებით ნიკოლოზით, გულბანდით, ვახტანგით და დავითით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი ქმარი და უკანასკნელთა მამა

ნიკოლოზ გრიგოლის ძე გამრეკელი

პანაშვიდი 6 ნახ. საათ. საღამოს ყოველ დღე ბინაზე (კირპიჩნის შესახვევი № 19, შესავალი გუნიბის შესახვევიდან) გამოსვენება ბინიდან კვირას 19 აგვისტოს, დილის 9 ნახ. საათ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე, დასაფლავება იქვე ლიტურგიის შემდეგ.

(1082—2—1)

გულდათუთქულნი და უზომოდ შეწუხებულნი ნინო პორფირის ასული, ვიქტორ კონსტანის ძე და ირა ვიქტორის ასული უზნაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესის, პირველთა შვილის და უკანასკნელის ძმის,

პატარა **„თანდილიკოს"** (ავთანდილის)

გარდაცვალებას. გამოსვენების დღე დანიშნულია შაბათს, 18 აგვისტოს ნაშუადღევს 4 საათზე, ქ. ზესტაფონში საკუთარ სახლიდან.

კრ. 1079 1—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოდან შაბათობით და უქმე-დღეების წინ **ტფილისიდან** და 19 აგვისტოდან კვირაობით **კარაკლისიდან** მოაგარაკე მგზავრთა კარგ პირობებში სამგზავროთ ტფილის-კარაკლის შორის **ინიშნება** ერთი წყვილი დამატებითი სამგზავრო მატარებელი №№ 60 და 61 შემდეგი ცხრილით:

მატ. № 61	გავა ტფილისიდან საღ. 8 ს., 25 წ.	(შაბათობით და უქმე დღეების წინ).
„	„ ჩავა კარაკლისში დილის 6 ს., 30 წ.	
მატ. № 60	გამოვა კარაკლისიდან საღ. 9 საათ.	(კვირაობით და უქმე-დღეებში).
„	„ მოვა ტფილისში დილის 7 ს., 5 წ.	

კრ. 564-2-1

შემთხვევით იყიდება იაფათ
როიალი
(ლეპენბერგის ქარხნის)
იკითხეთ: აბას-აბადის მოედანი მოგნინის პირველი ტუპიკი № 8. პეტრუშევსკაია.
(2—1)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტრო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—16

ელექტრონის სინათლის
სამკურნალო
საწოლებით **რენტგენის დარბაზით**
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] მკურნალობას საჭიროებენ.
[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ № 20.
(501—25—18)

ქ. ტფ. მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე
(მუხრანის ქ № 4).

იწვევს დღიდან ამ განცხადებისა ორ თვის განმავლობაში სასამართლოში, როგორც მოპასუხეებს უგზოუკვლოთ მიკარგულ ქრისტაფორე და ივანე ომიაძეებს სამოქალაქო საჩივრის სტეფან ტერ-ასვაცატუროვის მიერ შემოტანილი 22 მილიონი 205 ათასი მან. ფქვილის ღირებულებაზედ ორი ხელწერილით, თუ ვინიცობაა მოპასუხეები აღნიშნულ ვადაზედ არ გამოცხადდებიან, საქმე იქნება დანიშნული და იქნება გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

კრ. 1080. სახ. მოსამართლე **ზ რადლეცკი.**

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ნიკოლოზის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1081—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, [illegible] ქუჩა № 4